ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 6 (11)

23 III 1990

ეროვნული ბიბლიოთეკა






## ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია

13-15 მარტს თბილისში, ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია. კონფერენციამ განიხილა შემდეგი საკითხები: იურიდიული პირის სტატუსის მატარებელი ოფიციალური ორგანოს განსაზღვრა, რომელიც იქნება ქართველი ერის და საქართველოს კანონიერი მოსახლეობის ნების გამომხატველი; საქართველოს ე. წ. სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის რიგგარეშე სესიის დადგენილების შეფასება; საყოველთაო, დემოკრატიული, პირდაპირი და თანასწორი, ფარული კენჭისყრის საფუძველზე გარდამავალი კოალიციური ოპოზიციური ხელისუფლების არჩევა; საქართველოს ეროვნული ფორუმის არჩევა საგანგებო კონფერენციის მიერ; საქართველოს საყოველთაო ეროვნული ყრილობის მოწვევა; საქართველოს კანონიერი მოსახლეობის მიერ ბოიკოტის გამოცხადება სსრ კავშირის საოკუპაციო არმიის რიგებში სამსახურისადმი; საქართველოს კანონიერი მოსახლეობის მიერ საქართველოს ე. წ. სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩაშლა; საქართველოს ე. წ. კომკავშირის თვითლიკვიდაცია; დამოკიდებულების განსაზღვრა გერმანიის გაერთიანებისადმი.









საგანგებო კონფერენცია გახსნა და სხდომებს თავმჯდომარეობდა ზვიად გამსახურდია.

კონფერენციაზე მოხსენებებით და სიტყვებით გამოვიდნენ: ირაკლი წერეთელი, ირაკლი ბათიაშვილი, გიორგი ჭანტურია, თემურ ქორიძე, ნოდარ ნათაძე, ელგუჯა წიკლაური, თენგიზ სიგუა, რომან გოცირიძე, ვახტანგ ტალახაძე, შოთა ნადირაშვილი, ირაკლი კაკაბაძე, თეიმურაზ სუმბათაშვილი, ვახტანგ ბოჭორიშვილი, ნოდარ წულეისკირი, გიორგი თვალავაძე, ჯობა იოსელიანი, თენგიზ შარმანაშვილი, დავით ზარდიაშვილი, გიორგი მარჯანიშვილი, თედო პაატაშვილი, ავთანდილ იმნაძე, ზურაბ ჟვანია, აკაკი ასათიანი და სხვები.

მიიღეს რეზოლუციები საქართველოში კომკავშირული ორგანიზაციის გაუქმების, კრემლის მიერ მოწყობილი დემოგრაფიული ექსპანსიის შეწყვეტის, ქართული ეროვნული სამხედრო სასწავლებლის შექმნის, იმპერიის საოკუპაციო ჯარების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანისა და საბჭოთა არმიაში გაწვევის შეწყვეტის, საქართველოს ე. წ. უზენაესი საბჭოს არჩევნების ბოიკოტის შესახებ და სხვ.

მიხეილ მათველაშვილის ფოტოები.

## ქრონიკა

1990 წლის 18 მარტს თბილისში, კინოს სახლში, გაიმართა საქართველოს სახალხო ფრონტის საგანგებო კონფერენცია. კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციები იხილეთ ჩვენი გაზეთის მესამე გვერდზე.

●

18 მარტს გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა დამფუძნებელი ყრილობა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სსრკ ჟურნალისტთა კავშირიდან გამოყოფის შესახებ. გზა დავულოცოთ საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელ კავშირს.

●

19 მარტს საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციების ინიციატივით გაიმართა ერთმანეთის მიტევებისადმი მიძღვნილი მიტინგი. მიტინგი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო.

ხალხმრავალ მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ: ნოდარ ნათაძე, გიორგი ჭანტურია, სოლომონ ხუციშვილი, ვახტანგ გოგუაძე, დათო ტურაშვილი და სხვები.

შემდეგ საქართველოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელი დაიძრა სიონისაკენ...

●

რიგა. კვირას ჩატარებულ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში გაიმარჯვა ლატვიის სახალხო ფრონტმა, რომელიც ლატვიის დამოუკიდებლობის აღდგენას მოითხოვს. უკვე არჩეული 170 დეპუტატიდან 120 სახალხო ფრონტის წარმომადგენელია, ხოლო 23 — ინტერფრონტისა. არჩევნების მეორე ტური ჩატარდება 31 საარჩევნო ოლქში. კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად საჭიროა უმაღლესი საბჭოს დეპუტატების 2/3-ის (134 დეპუტატის) მხარდაჭერა.

●

ტალინი. კვირის არჩევნების შემდეგ ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ 60 მანდატის ბედი, რომელთაგან ესტონეთის სახალხო ფრონტმა მოიპოვა 26, ხოლო შრომითი კოლექტივების გაერთიანებულმა საბჭომ, რომელიც რუსულენოვან მოსახლეობას წარმოადგენს, 16 მანდატი. უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს შორის არიან სახალხო ფრონტის ლიდერები სავისაარი და ლაურისტინი.

## საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენცია

# თედო პაატაშვილის სიტყვა

**საბჭოთა** იმპერიაში დღეს არსებული უაღრესად რთული და სწრაფადცვალებადი სიტუაცია რეალისტურ, დაკვირვებულ ანალიზსა და აქედან გამომდინარე მოქმედებას მოითხოვს. იმპერიაში შემავალი ერები და ოკუპირებული სახელმწიფოები სოციალური, საზოგადოებრივი, კულტურული თუ პოლიტიკური განვითარების უაღრესად განსხვავებულ ეტაპებზე იმყოფებიან. სხვადასხვა რეგიონების განვითარების დონეთა შორის არსებული ინტერვალი ათწლეულებში კი არ თავსდება და საუკუნეებს ითვლის. ამდენად, პრინციპულად შეუძლებელია შექმნა დასავლეთისთვის მოსაწონი საყოველთაო კანონმდებლობისა, რომელიც იმპერიის ყველა რეგიონში წარმატებით „იმუშავებს". რეალური თავისუფლების განსხეულების ურთულესი პროცესი ბუნებაში საოცარი სიზუსტით რეგულირდება. აბსოლუტური თავისუფლების პოტენციის მქონე ერთადერთი არსება ადამიანია. მას უფალი თანმიმდევრული განვითარებისა და სრულყოფის დონის შესაბამისად ანიჭებს თავისუფლებას. პოლიტიკაში კი, მით უფრო საბჭოურ პოლიტიკაში, ასეთი სრულყოფილი მექანიზმი არ არსებობს. ვფიქრობ, ამანაც განაპირობა, ერთობ ნაჩქარევად, საპრეზიდენტო ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობა საბჭოთა კავშირში. ცდილობენ შექმნან სწრაფი რეაგირების აღმასრულებელი ორგანო, ე. წ. „კეთილი მეფის" მმართველობა, რომელსაც ექნება შესაძლებლობა პრეზიდენტის პირადი პასუხისმგებლობით იმპერიის ნებისმიერ ადგილას საკუთარი შეხედულებებისამებრ იმოქმედოს. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც საბჭოთა იმპერიის უმაღლეს ხელისუფალს იურიდიულად ეკისრება პირადი პასუხისმგებლობა. აქამდე „პასუხისმგებელი" უპიროვნო და ამდენად უპასუხისმგებლო პოლიტბიურო იყო (თუნდაც, 9 აპრილის ამბებთან დაკავშირებით ამასწინანდელი შევარდნაძე-ლიგაჩოვის პოლემიკა გავიხსენოთ). ძალის უსასტიკეს გამოყენებას კომუნისტური რეჟიმი არასდროს მორიდებია, ამდენად, პრეზიდენტის პოსტის შემოღებით ეს საფრთხე, არა მგონია მნიშვნელოვნად გაიზარდოს. თუმცა კი, ეს პოსტი იძლევა დესტაბილიზაციის შემომტან მოვლენებში ძალისმიერი ჩარევის სამართლებრივად მოწესრიგების ილუზიის შექმნის საშუალებას.

არსებობს საპრეზიდენტო ინსტიტუტის შემოღების მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ასპექტი. „პერესტროიკად" წოდებული პროცესი შედის ურთულეს და უმნიშვნელოვანეს ფაზაში. დღევანდელმა მმართველობამ ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წმენდა (პოლიტბიუროსა და ცენტრალური კომიტეტის) არასასურველი პირებისაგან კარგა ხანია მოათავა. აქ ოპოზიცია სწორედ იმ დონით არის დარჩენილი, რა დონითაც „პერესტროიკას" ესაჭიროება. დღეს აუცილებელია დაიწყოს ხელისუფლების ყველაზე მრავალრიცხოვანი პარტიულ-ადმინისტრაციული აპარატის რღვევის პროცესი, რაც სულისმღაფავი ეკონომიკის გადასარჩენად აუცილებლად სწრაფად უნდა გაკეთდეს. პარტიულ-ადმინისტრაციული აპარატი მრავალრიცხოვანია. ამას ემატება მასთან კორუფციით დაკავშირებული სამხედრო, სამართალდამცავი, თუ წარმოებათა ხელმძღვანელობა, მათი დაახლოებული პირები (ოჯახის წევრები, ნათესაობა). სწორედ ეს უზარმაზარი ფენა ფლობს დღეს როგორც რეალურ ძალაუფლებას, ისე ყველანაირ ცხოვრებისეულ პრივილეგიებს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ მათ წინააღმდეგ გალაშქრებამ შესაძლოა არანაკლები სირთულეები შეუქმნას პოლიტიკური პროცესების სტაბილურობას მთელი იმპერიის მასშტაბით, ვიდრე ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობებმა თუ ეთნოკონფლიქტებმა. პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომელიც მომავალში საყოველთაო ფარული კენჭისყრით უნდა იყოს არჩეული, დეპუტატის სტატუსის დაწესება, კომუნისტური პარტიის ჰეგემონიის მქადაგებელი კონსტიტუციის მეექვსე მუხლის გაუქმება, ფაქტიური მრავალპარტიულობის დაშვება, ყოველგვარ იურიდიულ საფუძველს აცლის საბჭოეთში პარტოკრატიის მმართველობას. ალბათ, ამ მიზეზთა გამო არ ეწინააღმდეგება პუტი კატეგორიულობით აშკარად ნაჩქარევ და დასახვეწ საპრეზიდენტო კანონს პროგრესულ დეპუტატთა გარკვეული ნაწილი.

აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა იმპერიაში დღეს მიმდინარე პროცესები დასავლეთის ცნობილი პოლიტიკური ექსპერტების მიერ კარგა ხნის წინათ იყო პროგნოზირებული. ცხადია, რომ ეს პროცესები ემორჩილება გარკვეულ კანონზომიერებასა და თანმიმდევრობას. ჯერ კიდევ ოთხმოციანი წლების დასაწყისში მათ-არჯვენე პოლიტოლოგებმა სოციალიზმის რღვევის სამეტაპობრივი მოდელი იწინასწარმეტყველეს. პირველ ეტაპზე თავისუფლდება აღმოსავლეთ ევროპა, მეორეზე — ბალტიის ქვეყნები და მესამეზე — საქართველო. დღეს უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური რეალიები სწორედ ამ სცენარით კითარდება. მსოფლიო პოლიტიკური ძალები პროცესთა ამ თანმიმდევრულობის ხელოვნურ დარღვევას არ დაუშვებენ. ამ მოსაზრების აშკარა დასტურს წარმოადგენს პოლიტიკური სამყაროს რეაქცია ბაქო-დუშანბეს ფუნდამენტალისტთა წინააღმდეგ განხორციელებულ დამსჯელ საოკუპაციო აქციებზე. უხეშად რომ ვთქვათ, არსებობს „ცოცხალი რიგი", რომლის დარღვევის მცდელობასაც მსოფლიო პოლიტიკა უზნეობად და უვიცობად ჩათვლის და მხარს არ დაუჭერს.

პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებამ და იმ პოტენციურმა საფრთხემ, რასაც ეს პოსტი უქმნის კავშირში შემავალ რესპუბლიკებს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოებს, ჩვენი მხრივ, ძალზე ხელსაყრელი სიტუაცია შექმნა რესპუბლიკებში პოლიტიკურ პროცესთა ფორსირებისათვის. ამის შედეგი გახლდათ საქართველოს უზენაესი საბჭოს 9 მარტის რიგგარეშე სესიის დადგენილება — მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც ფაქტობრივად კანონკარეშედ და ბათილად ცნობს საქართველოს არსებობას საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტიც საქართველოს არაკანონიერი მთავრობის მიერ არის მიღებული. აუცილებელი, ამ პროცესის რაც შეიძლება სწრაფად განვითარება, რათა საქართველოში შეიქმნას სიტუაცია, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება შეიქმნას იურიდიული სუბიექტი, რომელსაც ექნება როგორც მორალური, ისე იურიდიული უფლება, იყოს ქართველი ერის ნების გამომხატველი. ამ უფლების გარდა ამ იურიდიულ პირს სასურველია გააჩნდეს საერთაშორისო აღიარება და შესაბამისი არხები, რათა უახლოეს პერიოდში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე კრემლთან მოლაპარაკება დაიწყოს. ჩეხოსლოვაკიისა და უნგრეთიდან საბჭოთა საოკუპაციო ჯარების გამოყვანის ვადების დადგენის შემდეგ (საბჭოთა ჯარებმა წელიწადნახევარში უნდა დატოვონ ამ ქვეყნების ტერიტორია) აშკარაა, რომ იმპერიაში შემავალი ანექსირებული სახელმწიფოებისთვის ეს პროცესი სულ მცირე ორ-სამ წელიწადს გაგრძელდება. თუ, რა თქმა უნდა, პროცესები მშვიდობიანად წარიმართა, გლობალურ დესტაბილიზაციათა გარეშე. ამაში კი ერთობ დაინტერესებულია დასავლეთ-პერესტროიკული ალიანსი და ამდენად, კრემლს ყველაფრის უფლება მიეცემა. ორ-სამ წელიწადში კი ჩვენს საოცრად დინამიურ დროში ბევრი რამ შეიძლება მოხდეს, ამდენად აუცილებლად მიგვაჩნია უახლოეს პერიოდში კრემლთან მოლაპარაკების დაწყება საქართველოს დამოუკიდებლობის თაობაზე და ამავე დროს ქვეყნის მართვის რეალურ პროცესში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალების ჩართვა.

არ ვაზროვნებთ რა პოლიტიკური კლიშეებითა და შაბლონებით, არ ვქადაგებთ ბრძოლის ბალტიისპირული მოდელის საქართველოში გადმონერგვას. თვით ბალტიის ქვეყნებშიაც კი თავისუფლებისათვის განსხვავებული გზებით იბრძვიან. მით უფრო მიუღებელია ბრძოლის ამ მეთოდთა ტრაფარეტული გადმოღება საქართველოს სულ სხვა გეოპოლიტიკურ, კულტურულ-საზოგადოებრივ სიტუაციაში.

ამასთან, ძნელია გადააფასო ის წარმატება, რასაც ლიტვამ თავისუფლებისათვის ბრძოლაში მიაღწია. დე იურედ არასდროს სცნობდა დასავლეთი ბალტიის ქვეყნებს კავშირის შემადგენლობაში, მაგრამ დღეს ის ლიტვის დამოუკიდებლობის გამოცხადებას დე ფაქტოდ აღიარებს და მხარს უჭერს. საყურადღებოა აგრეთვე ბრაზაუსკასის მაგალითი, რომელიც რიგით დეპუტატად დარჩა და ხელისუფლებასთან არაკომუნისტური ძალები მიუშვა. ლიტვამ ფაქტობრივად კონსტრუქციული გზით იმპერიიდან თავის დაღწევის იურიდიული პრეცედენტი შექმნა.

რეალურად რა გზით შეიძლება საქართველოში შეიქმნას სიტუაცია, როდესაც შესაძლებელი იქნება საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის მიერ არჩეულ იქნას იურიდიული პოლიტიკური ორგანო, რომელსაც მორალური უფლების გარდა ექნება საერთაშორისო ოფიციალური პოლიტიკური წრეების მხარდაჭერაც, რაც თავისუფლებისათვის ბრძოლის უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს? ისევ ლიტვის მაგალითზე რომ ვიმსჯელოთ, იქ წარმატება მიღწეულია დისიდენტებს, „საიუდისსა" და კომპარტიას შორის ფაქტობრივი თანამშრომლობის შედეგად. სწორედ „საიუდისი" იყო დამაკავშირებელი რგოლი უკიდურეს ოპოზიციასა და ლიტვის კომპარტიას შორის. საქართველოში აშკარად განსხვავებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობაა როგორც სტრუქტურულად (ფაქტობრივად არ არსებობს ასეთი დამაკავშირებელი რგოლი), ისე ქართული პარტაპარატის მორალურ-ზნეობრივი სახის თვალსაზრისით. აშკარად განსხვავდება ლიტვურისაგან ქართული ხასიათი და ფენომენიც. მაგრამ, არა მგონია, ქართველებს ერთმანეთი ლიტველებზე ნაკლებად გვიყვარდეს.

იმისათვის, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ჩართული ძირითადი რადიკალური ძალებისათვის ზნეობრივად დასაშვები გახდეს მმართველობასთან ოფიციალური საქმიანი ურთიერთობების დამყარება, უახლოეს ხანში საქართველოში რადიკალურად უნდა შეიცვალოს საბჭოური სტრუქტურები. უნდა შეიქმნას რადიკალური ოპოზიციის პოლიტიკურ ძალთა და საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა ერთობლივი კომისია, რომელიც აიძულებს საქართველოს უზენაეს საბჭოს, მოიწვიოს რიგგარეშე სესია, რათა, იმპერიაში შექმნილი უაღრესად რთული და საშიში პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, დაუყოვნებლივ მიიღოს შემდეგი დადგენილებები:

1. ეწოდოს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას საქართველოს რესპუბლიკა (დამოუკიდებლობამდე შეიცვალოს რესპუბლიკის საბჭოური სიმბოლიკა).

2. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედება შეწყვიტოს საბჭოთა კავშირის კონსტიტუციამ.

3. ამოიღოს საქართველოს კონსტიტუციიდან კომუნისტური პარტიის ჰეგემონიის დამადასტურებელი მე-6 მუხლი და საქართველოს საბჭოურობის დამადასტურებელი სხვა მუხლები.

4. საქართველოში მრავალპარტიულობა კონსტიტუციურად დაკანონდეს.

5. გამოეყოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას საქართველოს კომუნისტური პარტია (ამ ეტაპზე, ვფიქრობთ, ჯერ საჭიროა საქართველოში კომუნისტური პარტიის არსებობა, თუნდაც კრემლთან მოლაპარაკებისათვის რეალური გუმბარიძე-შევარდნაძე-გორბაჩოვი არხისათვის).

ამ და, შესაძლოა, სხვა კონსტიტუციურ ცვლილებათა შემდეგ, საქართველო კონსტიტუციურად მიუახლოვდება თავის ფაქტობრივ მდგომარეობას, იქნება რა არა საბჭოთა სოციალისტური, არამედ საბჭოეთის მიერ ოკუპირებული საქართველოს რესპუბლიკა. მსგავს ცვლილებათა შემდგომ, ვფიქრობ, ზნეობრივად დასაშვები იქნება რადიკალური ოპოზიციის პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლების ოფიციალური მონაწილეობა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს, დიდწილად, ალბათ, მოხსნის შინაგან დაპირისპირებებს და ამდენად, მთელი ქართველი ერი სწორედ კრემლს დაუპირისპირდება.

რა თქმა უნდა, ბოიკოტი უნდა გამოეცხადოს ან ჩაიშალოს 25 მარტს დანიშნული საბჭოური არჩევნები. ოფიციალური მრავალპარტიულობა და აღნიშნული კონსტიტუციური ცვლილებები შესაძლებელს გახდის, რათა ყველა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ რესპუბლიკური საინფორმაციო საშუალებებით საქართველოს მთელს მოსახლეობას რეგულარულად გააცნოს საკუთარი პოზიცია და კანდიდატები. ვფიქრობთ, ეს რეალურს გახდის ოკუპირებული ქვეყნისათვის მაქსიმალურად დემოკრატიული არჩევნების უახლოეს ხანში ჩატარებას. საქართველოში საოკუპაციო ჯარის ყოფნის განმავლობაში, ყოველ შემთხვევაში, მისი ქვეყნიდან გაყვანის კონკრეტული ვადების დამდგენი მოლაპარაკების დამთავრებამდე, ალბათ, უპრიანი იქნება, რომ ეროვნული მოძრაობის თავკაცები ისევ გარესაპარლამენტო ოპოზიციას ხელმძღვანელობდნენ.

უახლოეს ხანში რესპუბლიკის მმართველობა, ალბათ, თვითონ მიიღებს ზემოთ ჩამოთვლილ დადგენილებათა უმრავლესობას, რის შემდეგაც ოპოზიციის კატეგორიული არმონაწილეობა საქართველოში მიმდინარე ოფიციალურ პოლიტიკურ პროცესებში მსოფლიო პოლიტიკური საზოგადოებრიობისათვის სრულიად გაუგებარი იქნება. ეს ფაქტობრივად გამორიცხავს ოპოზიციური ხელისუფლების საერთაშორისო აღიარების შესაძლებლობას, რაც საერთაშორისო სამართლებრივი გზით მავალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

**14 მარტი, 1990 წ.**

# თვითგამორკვევა კომკავშირულად

### ქართულ ჟურნალისტიკას კიდევ ერთი გაზეთი შეემატა — „ახალგაზრდა ივერიელი"




მიუხედავად იმ დიდი და საყოველთაო აღფრთოვანებისა, გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" გამოჩენას რომ მოჰყვა, უნდა ვთქვათ, მას ნათლობის დღესვე მოუვიდა მწარე შეცდომა, კერძოდ: გაზეთმა მკითხველს აუწყა, რომ იმ დღეს, 20 მარტს, გაიმართებოდა საქართველოს კომკავშირის ბოლო ყრილობა და პუბლიკაციაში — „რა იქნება შემდეგ?" — სხვადასხვა მისწრაფებების ახალგაზრდების მოსაზრებების მოშველიებით (სხვათა შორის, მათი უმეტესობა კომკავშირის დაშლას ვარაუდობდა) შეეცადა გაერკვია მკითხველი, თუ რა იქნებოდა შემდეგ.

მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ივერიელები მწარედ შეცდნენ. არ ვიცით, უფრო შემდეგ რა იქნება, მაგრამ იმ დღეს კი კომკავშირის ყრილობა ისე წარიმართა, დარბაზში მსხდომთაგან უთუოდ ბევრს ჩაესმოდა ანსამბლ „ორიონის", როგორც ჩანს, ჯერაც უკვდავი სიმღერის სიტყვები: „კომკავშირული გული..."

მოკლედ, კომკავშირის დღეგრძელობისთვის თავგადაკლულმა მებრძოლებმა ყველაფერი იღონეს, რათა საქართველოს კომკავშირი არ დაშლილიყო და ქართველი კომკავშირელებისათვის კიდევ მიეცათ გარკვეული დრო (პირველ ივნისამდე) თვითგამორკვევისათვის (?!).

თვითგამორკვევასთან დაკავშირებით ისევ „ახალგაზრდა ივერიელს" უნდა შევეხოთ, უფრო სწორად „ახალგაზრდა კომუნისტს" (მადლობა ღმერთს, უკვე წარსულს) დავუბრუნდეთ — ჩანს, „ახკომელები" საკმაოდ ნაადრევად თვითგამორკვეულები შეხვდნენ ყრილობას, რადგან საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ყრილობის ერთ-ერთ სექციურ სხდომაზე „ახალგაზრდა კომუნისტს" მისი საქციელი (საქმე ეხება გაზეთის სათაურის გამოცვლას) მორალურ ღალატად ჩაუთვალეს და ყრილობის რეზოლუციაშიც სურდათ ამის დაფიქსირება.

როგორც ირკვევა, აქ თვითგამორკვევის რაღაც განსაკუთრებულ, კომკავშირულ მოდელთან უნდა გვქონდეს საქმე — თუ გაბედე და კომკავშირის ყრილობამდე, მისი ნებართვის გარეშე გამოერკვიე, მოღალატე ხარ, ხოლო თუ კომკავშირის დახტურით და მის მიერ დაწესებულ დროში — თვითგამორკვეული...

ახე ვითომ გამოერკვევა საქართველოს კომკავშირი?.. ან, რა აქვთ გამოსარკვევი. თუ აქამდე ვერ გამორკვეულან, ვერასოდეს გამოერკვევიან (სულით კომკავშირელებს ვგულისხმობთ).

რაც შეეხება „ახალგაზრდა ივერიელს", იგი საქართველოს ახალგაზრდობის გაზეთი უნდა იყოს და, რა თქმა უნდა, ასეც იქნება. კომკავშირის დიქტატის დრო წარსულს ჩაბარდა.

გაზეთ „საქართველოს" რედაქცია სიხარულით შეხვდა „ახალგაზრდა ივერიელის" რედაქციის თანამშრომლების ნაბიჯს და ახალი გაზეთის დაბადებას. „საქართველო" მუდამ მხარში ამოუდგება „ახალგაზრდა ივერიელს".

## ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის დამფუძნებელი კრების რეზოლუცია

**1990 წლის 20 მარტს,** თბილისში, შედგა ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის (ლდეპ) დამფუძნებელი კრება, რომელმაც:

1. მიიღო გადაწყვეტილება ლდეპ დაფუძნების შესახებ;
2. დაამტკიცა ლდეპ შემადგენლობა;
3. განიხილა და მიიღო პარტიის წესდება;
4. აირჩია პარტიის გამგეობა (თავმჯდომარე მიხეილ ნანეიშვილი) და სარევიზიო კომისია;
5. დაავალა გამგეობას მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარება პარტიის I ყრილობის მოსაწვევად.

## ქრონიკა

**ვილნიუსი.** 1990 წლის 10-12 მარტს შედგა ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს სესია, რომელმაც მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება „დამოუკიდებელი ლიტვის სახელმწიფოს აღდგენისა და რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლიტვის სსრ და სსრკ კონსტიტუციების მოქმედების გაუქმების შესახებ". სესიაზე მიღებულ იქნა აგრეთვე გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს შეეცვალა სახელი და ეწოდა „ლიტვის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო". ხმათა უმრავლესობით ლიტვის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს „საიუდისის" ლიდერი, პროფესორი ვიტაუტას ლანდსბერგისი. სესიის დავალებით ბ-ნმა ლანდსბერგისმა გაუგზავნა მიმართვა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს მიხეილ გორბაჩოვს. მიმართვაში ნათქვამია: „გვწამს, რომ პირადად თქვენ და მთლიანად საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა კეთილგანწყობით მოეკიდებით ჩვენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ცნობს დამოუკიდებელი ლიტვის რესპუბლიკის აღდგენის ფაქტს". აღსანიშნავია ისიც, რომ სესიაზე მიიღეს კანონი ლიტვის 1938 წლის 12 მაისის კონსტიტუციის მოქმედების აღდგენის შესახებ.

ლიტვის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ასეთმა გადაწყვეტილებებმა დიდი რეზონანსი გამოიწვია მთელს მსოფლიოში მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არც ერთმა ქვეყანამ არ სცნო ლიტვის დამოუკიდებელი სახელმწიფო. საგულისხმოა ამერიკის შე-

(დასასრული მე-5 გვ.)

## გთავაზობთ 18 მარტს კინოს სახლში გამართულ საქართველოს სახალხო ფრონტის საგანგებო კონფერენციაზე მიღებულ დოკუმენტებს

**საქართველოს** სახალხო ფრონტის 1990 წლის 18 მარტის საგანგებო კონფერენცია მოითხოვს, საქართველოს საარსებო ინტერესებიდან გამომდინარე, დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს საგანგებო სესია, რომელიც გაითვალისწინებს, რომ საქართველოს უშიშროების კომიტეტი დღიდან თავისი შექმნისა ეწეოდა შეურიგებელ ბრძოლას საქართველოში ეროვ-

### საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს

### საქართველოს სახალხო ფრონტის 1990 წლის 18 მარტის საგანგებო კონფერენციის განცხადება

ნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ და მისი ხელმძღვანელობის შემადგენლობაში ყოველთვის იყვნენ არაქართველი და ქართველებისადმი მტრულად განწყობილი პირები. აქედან გამომდინარე მიიღებს დადგენილებას, რომ დაუყოვნებლივ შეიქმნას მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მთავრობას დაქვემდებარებული სპეციალური სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს რესპუბლიკის უსაფრთხოების დაცვას. შეიქმნას, ისევე როგორც ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში, ყოველგვარი პარტიებისა და პოლიტიკური ორგანიზაციებისაგან დამოუკიდებელი სათანადო ორგანოები, რომლებიც წარმოადგენენ ორ ერთმანეთისაგან გამოყოფილ უწყებას: დაზვერვას და კონტრდაზვერვას. დღეს საქართველოს უშიშროების კომიტეტში არსებული ყველა დოკუმენტი, რომელიც რესპუბლიკის ინტერესებთანაა დაკავშირებული (თუნდ ისტორიული ღირებულებისა და თუნდ დღევანდელობასთან დამოკიდებულებაში მყოფი) გადავიდეს ამ ახალშექმნილი სპეციალური სამსახურის მფლობელობაში.

**საქართველოს** სახალხო ფრონტის საგანგებო კონფერენციას მიაჩნია, რომ საქართველო დღეს იმყოფება კრიზისულ ეკონომიკურ სიტუაციაში (მაღალი ინფლაცია, საბიუჯეტო, სასაქონლო და ენერგეტიკული დეფიციტი), ნამდვილი ეკონომიკური კატასტროფის საშიშროების წინაშე. ამ მდგომარეობამდე ჩვენი სამშობლო მიიყვანა საბჭოთა ანექსიამ, მარქსისტულ-ლენინურ-ბოლშევიკურმა იდეოლოგიამ, საოკუპაციო-ტოტალურმა რეჟიმმა, ეკონომიკის მართვის ადმინისტრაციულ-ზეცენტრალურმა სისტემამ, პიროვნული და ეროვნული ინტერესების უგულვებელყოფამ, შრომისა და ხიჭის გაუფასურებამ.

სსფ-ს აღნიშნული მდგომარეობიდან გამოსავლად მიაჩნდა და მიაჩნია საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის (თვითმყოფადობის) პრინციპის განხორციელება. შექმნილია რამოდენიმე კონცეფცია, მაგრამ საქმე წინ არ იძვრის.

საქართველო, ქართველი ერი დამოუკიდებლობისაკენ, თავისუფლებისაკენ მიილტვის, რისთვისაც იდგმება გარკვეული პოლიტიკური ნაბიჯები. სახელმწიფოს დამოუკიდებელი ფუნქციონირება საჭიროებს ეკონომიკურ გარანტიებს, რაც პირველყოვლისა მყარ საგარეო ვაჭრობას გულისხმობს. თუ გავითვალისწინებთ ჩვენი საქონლის ხარისხს, ბიზნესის, ეკონომიკის სრულფასოვანი სპეციალისტების უქმარისობას, საზღვაო ტრანსპორტის აუთვისებლობასა და იმპორტთან დაკავშირებულ მოსალოდნელ ვალებს — ასეთი გარანტიები პრაქტიკულად არ არსებობს.

არ არსებობს გარანტიები აგრეთვე დღევანდელი ეკონომიკური პარტნიორებისაგან საბჭოებში არსებული მძიმე პოლიტიკური ვითარების, რუსეთ-საქართველოს შორის არასტაბილური ურთიერთობის, ამ ურთიერთობის მოსალოდნელი მკვეთრი გამწვავების გამო, სრულიად შესაძლებელია ეკონომიკური სანქციები, ბლოკადა, საბოტაჟი.

ვინაიდან მდგომარეობა კრიტიკულია და დიდი სისწრაფით იცვლება, სსფ-ს საგანგებო კონფერენცია საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის განხორციელებამდე მთავრობისაგან დაუყოვნებლივ მოითხოვს:

1. შექმნას თეორეტიკოსი, პრაქტიკოსი და სტუდენტი ეკონომისტებისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც შეისწავლის და აღრიცხავს საქართველოს არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას.
2. რადიკალურად შეცვალოს სსრკ-სთან არსებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, გადაიტანოს ძირითადი აქცენტი მომხმარებელთან და მომწოდებელთან ხელშეკრულებითი ხასიათის პირდაპირი კავშირების შექმნაზე.
3. შეიმუშაოს და პრაქტიკულად განახორციელოს საზღვაო ტრანსპორტის ათვისების ღონისძიებები.
4. გამოყოს ვალუტა საზღვარგარეთიდან ექსპერტების მოსაწვევად, ბიზნესის, პრაქტიკული ეკონომიკის სახელმძღვანელოების თარგმნის და მასობრივი ტირაჟით გამოცემისათვის, ეკონომისტების და იურისტების საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ასამაღლებლად, გადასამზადებლად მივლინებისათვის.
5. შეძენილ იქნას მავნე ნივთიერებებით პროდუქტის დაბინძურების საკონტროლო ხელსაწყოები, მკაცრი კონტროლი დაუწესდეს ბაზარს, სავაჭრო ქსელებს.
6. საჯაროდ გამოაქვეყნოს ინფორმაცია საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მიმდინარე ყველა სამრეწველო ან სხვა სახის მსხვილი ობიექტების მშენებლობისა და პროექტირების შესახებ, მიუხედავად მათი უწყებრივი ან სხვა დაქვემდებარებისა.
7. არ გაატაროს ცხოვრებაში იმ საკავშირო საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოქმედება, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საქართველოს ინტერესებს. მისცეს წინადადებები ამ აქტების მოქმედების შეჩერების შესახებ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე უზენაეს საბჭოს, კონსტიტუციის 77-ე მუხლის თანახმად.
8. შეაჩეროს ყველა მსხვილი ობიექტის მშენებლობა და პროექტირება, საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმება (განსაკუთრებით ნედლეულის საქართველოს გარეთ გატანაზე), მათ საჯაროდ განხილვამდე.

**1990 წლის** 9 მარტის დადგენილებით საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ ფაქტიურად აღიარა, რომ საქართველოში არსებული ყველა საბჭოური სახელმწიფოებრივი თუ მმართველობითი ინსტიტუტი არის 1921 წლის თებერვალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიისა და ძალადობის შედეგი. ამან თვისობრივად შეცვალა ვითარება საქართველოში, ვინაიდან მთლიანად გამოაცალა სამართლებრივი საფუძველი მმართველობის რეალურად არსებულ სტრუქტურებს:

### საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების გამო

### განცხადება

გასაგებია, რომ ამ გარემოებამ გააღრმავა პოლიტიკური კრიზისი, რომლის დასაძლევადაც, სხვა მნიშვნელოვან პირობებთან ერთად აუცილებლად მიგვაჩნია:

1. გაუქმდეს 1989 წლის 18 ნოემბერს მიღებული საარჩევნო კანონები, ხოლო 25 მარტისა და 17 ივნისისათვის დანიშნული არჩევნები არ ჩატარდეს;
2. საქართველოში დაფუძნდეს მმართველობის მრავალპარტიული სისტემა, რომელიც იმოქმედებს გარდამავალ პერიოდში საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე.
3. საქართველოში არსებული პოლიტიკური და საზოგადოებრივპოლიტიკური გაერთიანებების წარმომადგენლობითი მონაწილეობით შეიქმნას მთავარი საარჩევნო კომისია, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში საყოველთაო, პირდაპირი, ფარული კენჭისყრის საფუძველზე თვითმმართველობის საკანონმდებლო ორგანოს არჩევას.
4. საქართველოს ფაქტიურად არსებულმა ხელისუფლებამ საკანონმდებლო აქტით დაადასტუროს მთავარი საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება არჩევნების მომზადების და ჩატარების პერიოდში, აგრეთვე გააუქმოს ყველა ის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი, რომელიც უზრუნველყოფს კომუნისტური პარტიის მონოპოლიას ხელისუფლებაზე და მის ნებისმიერ პრივილეგიას.

**ზურაბ მაისურაძე,**
საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია

**გიორგი მარჯანიშვილი,**
ეროვნულ-ლიბერალური კავშირი, სსფ

**მიხეილ ბაჟუნაიშვილი,**
დას-ის (დემოკრატიული არჩევნები საქართველოში) გამგეობის წევრი

**გიორგი ბარამიძე.**
საქართველოს მწვანეთა პარტია

**საქართველოს** სახალხო ფრონტის საგანგებო კონფერენცია, მიესალმება რა ლიტვის სეიმის დადგენილებას სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ, თვლის ამ გადაწყვეტილებას ლიტველი ხალხის უზენაესი ნების რეალიზაციად და ამ გზაზე მის მიერ მიღწეულ მნიშვნელოვან გამარჯვებად.

საქართველოს სახალხო ფრონტის საგანგებო კონფერენცია პროტესტს აცხადებს და გმობს სსრკ სახალხო დეპუტატთა III ყრილობის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით მიღებულ დადგენილებას, მიიჩნევს ამ მოქმედებას ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის სუვერენული უფლებების შელახვად და შინაგან საქმეებში უხეშ ჩარევად.

ამასთან საქართველოს სახალხო ფრონტის საგანგებო კონფერენცია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოსაგან მოითხოვს: ა) დაუყოვნებლივ ცნოს ლიტვის სეიმის 1990 წლის 12 მარტს მიღებული დადგენილება „ლიტვის სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ"; ბ) განაცხადოს ლიტვის მიმართ საქართველოს სსრ პოლიტიკური და ეკონომიკური პრეტენზიების უქონლობა.

**საქართველოს** სახალხო ფრონტის საგანგებო კონფერენცია პროტესტს აცხადებს სსრკ სახალხო დეპუტატთა III ყრილობაზე მიღებული კანონის გამო სსრკ კონსტიტუციაში საპრეზიდენტო მმართველობის შემოღებასთან დაკავშირებულ ცვლილებების შესახებ. სსფ-ს საგანგებო კონფერენცია გმობს საქართველოსგან სსრკ სახალხო დეპუტატების იმ ნაწილის მოქმედებას, რომელმაც უგულვებელყო საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტის დადგენილება, რითაც საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დაუშვებლად მიიჩნევდა სსრკ-ში საპრეზიდენტო მმართველობის შემოღებასთან დაკავშირებულ კენჭისყრაში მონაწილეობას.

საქართველოს სახალხო ფრონტის საგანგებო კონფერენციას მიაჩნია, რომ ამ კანონით კონსტიტუციაში შეტანილი მთელი რიგი მუხლები ეწინააღმდეგება საქართველოს ინტერესებს, მის დღევანდელ, ფაქტობრივად მოქმედ კონსტიტუციას. ეს განსაკუთრებით ეხება საგანგებო მდგომარეობის შემოღებასთან დაკავშირებულ პუნქტს, რომელიც პრეზიდენტს ანიჭებს უფლებას პრაქტიკულად უკონტროლოდ და განუკითხავად იმოქმედოს.

სსფ-ს საგანგებო კონფერენციას მიაჩნია, რომ საქართველოს სსრ უზენაესმა საბჭომ, რომელიც ფაქტიურად არსებული საკანონმდებლო ორგანოა, უნდა გამოიყენოს საქართველოს სსრ კონსტიტუციის 77-ე, უკიდურეს შემთხვევაში კი 69-ე მუხლი და ამით უვნებელყოს ზემოთაღნიშნული კანონის მოქმედება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

მემკვიდრეობა

# რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი

(დასასრული)

II.

— **ახლა** ვიკითხოთ(,) თუ რა ხდება დღეს საქართველოში? ეს 120 წელია(,) რაც ჩვენი სამშობლო შეეფარა ორთავა არწივს და თავის ბედი დაუკავშირა რუსეთს. მოყვრათ და მეგობრათ მოწვეული რუსი ძალე გარდაიქცა ჩვენში ბატონათ და სასტიკ მტარვალათ. დიდი ზიანი ნახა ბედშავმა საქართველომ ამ შეუსაბამო კავშირით; ბევრი ჭირი და ვარამი, ტანჯვა, ვაება და აწიოკება განიცადა მან რუსის მთავრობისაგან და სალდათ-ჩინოვნიკებისაგან. ბევრი უმანკო სისხლი დაიღვარა საქართველოში, ბევრი ღირსეული შვილი კოლხეთ-ივერიისა დაილუპა ციმბირის ტუნდრებში. აურაცხელი დამცირება განიცადა ქართველმა ერმა, აუარება მიწა-მამული ჩამოერთვა მას, შერაცხეს სახაზინოთ და დაასახლეს ზედ უცხო ტომნი, განსაკუთრებით რუსები და სომხები.

არამც თუ საგაზეთო წერილით, მთელი ფორმებითაც კი ვერ ამოშრებს კაცი ყველა იმ საშინელებას, რაც ხვდა წილათ საქართველოს რუსის მთავრობის წყალობით ამ 120 წლის განმავლობაში. ეს იყო სატანური პოლიტიკა ერის გარუსების, გადაგვარების, მოსპობის, გალატაკების და განადგურების. რუსის მთავრობამ მოსპო ჩვენში ქართული მართვა-გამგეობა, ეკლესია, შკოლა, სასამართლო და ნაცვლათ დაამყარა ყველაფერი რუსული, მან მოიწადინა ქართული სულის ამოგლეჯა. ე. ი. ჩაიდინა ის, რაც არ ჩაიდინეს ჩვენში აზიის უსაშინელესმა მტარვალებმა 2000 წლის განძავლობაში.

საოცარია და საარაკო(,) თუ როგორ გაუძლო ქართველმა ერმა 120 წ. რუსის მთავრობის ასეთ ულმობელ ინკვიზიციას, როგორ შეინარჩუნა კიდევ თავისი ეროვნული სახე, ნიჭი, მხნეობა და არსებობა! გავს(,) უშრეტათ ქონებია ჩვენს ერს სულიერი ენერგია და ძალებადნი; ჩანს, მძლავრათ ყოფილა მასაში ჩანერგული ძველი კულტურის ნაშთები და მჩქეფარე ეროვნული გრძნობა...

მიუხედავად ამისა, მძიმე ბეჭედი დაასვა ქართველი ერის სულს რუსის ბატონობამ. ამ ბატონობამ დათრგუნა და დაჩაგრა ქართული თვითარსი კულტურა, ქართული რაინდობა და კეთილგონიერება, ნაცვლათ შთანერგა ბრმა მიმბაძველობა და შთაბერა მონური სული, რამაც ფრიად დასეტყვა ერის ფსიხიკა, ნიჭი, ინიციატივა და შემოქმედება, ამასთან ერთათ ეროვნული გრძნობა და შემ(ე)ცნება.

სწორედ ამ დამღუპველ ზეგავლენით აიხსნება ის უკუღმართობა, რაც შეემთხვათ ჩვენს სოციალისტურ პარტიებს. მაშინ, როდესაც რუსეთის იმპერიაში მყოფ ყველა შეგნებულ ერების სოციალისტურმა პარტიებმა აშკარად დაირქვეს თავიანთი ერის სახელი, ჩვენმა სოციალისტურმა პარტიებმა (გარდა ფედერალისტებისა), ვერ გაბედეს თავის ერის სახელის დარქმევა იმ შიშით, რომ რუსის მართლაც შოვინისტურ-სოციალისტურ პარტიებს შოვინისტობაში არ ჩამოერთმიათ. ამ სახით რუსეთის ფარგლებში არსებობდა ფინლიანდიის, უკრაინის, პოლონეთის, ლიტვის, ლატიშის, ებრაელების (ბუნდი*) და სხვა ერთა ს.-დემოკრატიული და ს.-რევოლუციონური პარტიები, არ არსებობდა მხოლოდ საქართველოს ს.-დემოკრატიული და ს.-რევოლუციონური პარტიები. ამათ ნაცვლად ჩვენში არსებობენ: რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და რუსეთის სოციალ-რევოლიუციონერები. ეს უცხო სახელი ქართველ სოციალისტებს დღემდე შერჩათ; დღესაც კი, რუსეთის დამხობის შემდეგ, ვერ გაბედეს და ვერ შესცვალეს თავის ფირმა, თავის სახელი, ვერ მოინათლენ ქართველად; ქართველმა პარტიებმა დღესაც კი ვერ უწოდეს თავის თავს ქართველი. აი, რა სიმახინჯემდე მივიდა ჩვენში რუსეთის მონური ზეგავლენა!

რუსის ბიუროკრატიული დარჯაგით შეჩუთული ქართველი ერი მეტად გვიან გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე და როგორც ტეხნიკურად, მრეწველობით და საზოგადოდ ნივთიერად ჩამორჩენილმა ხალხმა, ამიტომ ფრიად სუსტი ბურჟუაზიის მქონემ, უპირველესად წარმოშვა და გაალონიერა სოციალისტური პარტიები, განსაკუთრებით კი სოციალ-დემოკრატები, ე. ი. პოლიტიკურად და ნივთიერად ჩამორჩენილი ხალხი ჩავარდა უკიდურესობაში.

ს.-დემოკრატიული პარტია მესამე დასის სახელით გაჩნდა ჩვენში ამ 25 წლის წინად ნ. ჟორდანიას ბელადობით. აქ არ შევუდგებით ამ პარტიის დახასიათებას, მის კარგისა და ცუდი მხარეების აწუსხვას, — ეს მეტად შორს წაგვიყვანდა. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ პარტიამ დიდი როლი ითამაშა ქართველი ხალხის თუმცა ცალმხრივი, მაგრამ მაინც ერთგვარ პოლიტიკურად გათვითცნობიერებაში. ამ პარტიამ გაალვივა ქართველ ერში კლასობრივი და წოდებრივი ბრძოლა და ანტაგონიზმი, რასაც მოჰყვა ბევრი არა-სასურველი შედეგები და ექ(ს)ცესები, განსაკუთრებით პირველ რევოლიუციის დროს 1904-5 წლებში, აგრეთვე წელსაც(,) მეტადრე ქართლში. ამ პარტიამ დარაზმა ქართველი მუშა-ხალხი, მონათლა პროლეტარის სახელით, შექმნა მათში ორგანიზაციები და შთაბერა რევოლუციური სული. ასევე მოექცა სოფლის გლეხობასაც; ამ წვრილ-მესაკუთრე ბურჟუებს, გაუხდა მათ ქომაგათ და ოპეკუნათ, ამრიგად იკისრა შეუფერებელი როლი და დადგა ყალბ ნიადაგზე, დაიჭირა მერყევი, სახიფათო პოზიცია. მაგრამ ეს გლეხობა, ეს ქართველი ერის თითქმის 90 პროც. საჭირო იყო ამ პარტიისათვის ხმების მისაცემათ, მით ძალა-გავლენის და უფლება-ბატონობის მოსაპოვებლად. მიზანს მიაღწიეს კიდეც. ამიტომაც არის, რომ ს.-დემოკრატიული პარტია გადასცდა დიდად თავის სფეროს და ეგრე მაგრათ ებღაუჭება სოფლის გლეხობას, რომელთაც არ შეუძლიათ გაიზიარონ ს.-დემოკრატების სიმბოლო სარწმუნოებისა, მათი პროლეტარულ-კოსმოპოლიტური არსხედვა, პროგრამა და მისწრაფებანი.

ეჭვს გარეშეა, ჩვენი გლეხობა მალე შეიგნებს ამ შეცდომას და ზურგს შეაქცევს თავის ოპეკუნებს.

იძულებული ვართ აღვნიშნოთ აგრეთვე ორი დიდი შეცდომა, რაც დაუშვეს ჩვენში ს.-დემოკრატებმა და რაც გამომდინარეობდა მათი კოსმოპოლიტურ მრწამსით და ცენტრალისტურ მისწრაფებით. ჩვენი ს.-დემოკრატები, რუსის ბელადების ზეგავლენით, იმ თავითვე სასტიკად ამხედრდნენ ქართულ-ეროვნულ შემეცნების და პოლიტიკურ თვითმმართველობის, ე. ი. ავტონომიის წინაალმდეგ, რასაც მოჰყვა ხანგრძლივი ბრძოლა ს.-დემოკრატებსა და იმ პარტიებს შორის, რომელნიც ეროვნულს ნიადა(გ)ზე იდგნენ. ხოლო ამ ერთი წლის წინად ს.-დემოკრატებს გამოეყო ერთი ჯგუფი და დაა(ა)რსა გაზ. „ალიონი“. ეს ფხიზელი ჯგუფი იმთავითვე დადგა ეროვნულ ნიადაგზე, შეიქმნა ჯერ ავტონომიისა და შემდეგ სრულ სეპარაციის მომხრე (ასეთი ჯგუფი წინადაც იყო).

რუსეთის ამ მეორე რევოლუციის პირველ დღიდანვე საქართველოს ბედიღბალი ხელთ იგდეს ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა („მენშევიკებმა“) და შეიქნენ ერის მესაჭეთ. ისინივე გახდნენ სრულიად ამიერ-კავკასიის ცხოვრების ტონის მიმცემი, ამიერ-კავკასიის კომისარიატის ბელადნი და მესვეურნი. სიმართლე უნდა ვსთქვათ, რომ თავის ენერგიით, ბეჯითობით და ორგანიზაციით ს.-დემოკრატებმა გადააჭარბეს არამც თუ ყველა ქართულ პოლიტიკურ პარტიებს, არამედ სომხებისა და თათრების პარტიებსაც. ს.-დემოკრატების სასახელოთ უნდა აღინიშნოს მათი ბრწყინვალე გამარჯვება სომხებზე ქალაქის არჩევნებში, თბილისის ბატონობის და პატრონობის ხელში ჩაგდება, მაგრამ იმავე დროს მათი ბნელი მხარეა პარტიული მიკერძოება, ყველა ადგილებსა და თანამდებობებზე მხოლოდ თავის კაცების ჩაყენება, იმის მიუხედავად(,) შესაფერისი არიან თუ არა ეს პირნი იმ ადგილებზე. ასეთ პარტიულ არჩევანს მოჰყვა არა-სასურველი შედეგი როგორც ერისათვის, ისე თვით რევოლუციისათვის.

სახელმწიფო წყობილების მსხვრევაზე აღმოცენილმა რუსეთის რევოლუციამ მალე დაუთმო ადგილი უმეცარ ხალხთა აღრევას და ანარქიას, რასაც შედეგათ მოჰყვა კულტურულ ეროვნებათა იმ თავითვე გამოყოფა და მათ მიერ ცალკე რესპუბლიკების შექმნა. ასე მოიქცენ ფინეთი, ოსტზეის მხარე, ლატიშები, ლიტველები, უკრაინა, ყაზანი და, ასე გასინჯეთ, კაზაკები, ბაშკირები და კავკასიონის მთის ხალხებიც კი. ხოლო ასე არ მოიქცენ ქართველები და ამაში უმთავრესი დანაშაული მიუძღვით ჩვენს ს.-დემოკრატებს, რომლებიც თითქმის დღემდე გახვეულან რუსის ორიენტაციის დამღუპველ ბურანში, ვერ აუღიათ ცხოვრების ალღო და ვერ დამდგარან იმ სწორ გზაზე, რასაც უკარნახებს ისტორიული სინამდვილე და აუცილებლობა.

რუსეთი, როგორც მთლიანი იმპერია, სახელმწიფო თუ რესპუბლიკა, უკვე 7-8 თვეა(,) რაც დაიმსხვრა და აღარ არსებობს; ამის ნაცვლად აღორძინდენ სხვა და სხვა ეროვნებათა რესპუბლიკები, მათ გვერდით კი სულს ღაფავს ხულიგნათ და „ბოლშევიკად“ ქცეული ველიკოროსთა ნაფლეთები, — ეს ოდესღაც გაბატონებული ერი. მიუხედავათ ამისა, ჩვენს ს.-დემოკრატთა ბელადებს ელანდებათ რუსეთის ძველი დიდება და ოცნებობენ კიდეც მის აღდგენაზე. დღესაც კი ვერ გაუბედიათ მიცვალებულის მკვდრათ აღიარება, ზურგის შექცევა და ქართველი ერის ახალი ბედის დამოუკიდებლობის გრდემლზე გამოჭედვა.

რას ნიშნავს მონური სული! რას ნიშნავს ისტორიული დამონება და დაძაბუნება!..

(1918, 24/6). III, № 65)

III.

ამ რევოლუციის დროს ქართველმა გადადგა წინ ორი ნაბიჯი. პირველი გაბედული ნაბიჯი იყო წარსული წლის მარტში გადადგმული, როდესაც აღიარებულ იქმნა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა (ავტოკეფალია) და აღდგენილი კათალიკოსობა*. ეს იყო ქართველი ერის ფრიად გაბედული ნაბიჯი, რაც არ მოუწონეს და დაგმეს ჩვენი ს.-დემოკრატების ფანატიკოსებმა.

ერის მეორე შესანიშნავი ნაბიჯი იყო 19 ნოემბერს მომხდარი ეროვნული ყრილობა და ეროვნული საბჭოს შედგენა, რამაც გამოიწვია კოლხეთ-ივერიაში დიდი ზეიმი და აღფრთოვანება. მაგრამ, სამწუხაროდ, ხალხის აფრთოვანება მოშხამა გაბატონებულმა პარტიამ. ე. ი. ს.-დემოკრატებმა, რომელთაც ვერ გაბედეს საქართველოს თავისუფალ რესპუბლიკად აღიარება და ჩასტოვეს ისევ დამხობილი რუსეთის ორიენტაციაში, რამაც მეტად გააბრაზა ოსმალეთი, მთის ხალხები და ჩვენი მეზობელი ადირბეიჯანელი თათრები, გაახარა კი ორჭოფა პოლიტიკის მაწარმოებელი სომხები...

ჩვენმა ეროვნულმა ყრილობამ, ს.-დ. ზეგავლენით, ვერ გაბედა და ვერ გამოაცხადა საქართველოს სუვერენობა, დამოუკიდებლობა, ვერ აუწყა იგი ქვეყანას და ვერ შექმნა ეროვნული მთავრობა. ეს იყო ერის ბელადების უუდიდესი შეცდომა და დანაშაული ისტორიის წინაშე, ეს იყო უუდიდესი მარცხი ქართველი ერის ცხოვრებაში, რასაც მოყვა ამ ბოლო დროს დამღუპველი შედეგები. ჩვენი ეროვნული საბჭო კი ამის გამო გამოდგა ღლენაკლული, უფლებით შეზღუდული და უმოქმედო. ასეთ შეზღუდულ ორგანოსაც კი უბღვერენ ამიერ-კავკასიის სეიმის დარბაზიდან ჩვენი ს.-დემოკრატები და ცდილობენ მის სრულებით გაუქმებას.

ჩვენი ს.-დემოკრატების ბელადები ისე გაიტაცა რუსეთზე და სომხებზე ზრუნვამ, რომ თითქმის სრულებით დაავიწყდათ თავის უბედური სამშობლო, რომელიც დღეს ყველაზე მეტად საჭიროებს პატრონობას და დახმარებას.

ქართველი ბუნებით რაინდია, მუდამ იყო და არის სხვის ქომაგი და დამხმარე, მაგრამ ეს რაინდობა ზოგიერთ ქართველის არსებაში გარდიქმნა სასაცილო დონკიხოტობათ. დაავადებული საქართველო დღეს კვნესის და გმინავს, ხალხი გაჭირვებაშია, ირგვლივ აურაცხელი მტრები შემოგვხვევია და გვემუქრის განადგურებით, ამ დროს კი ზოგიერთი ჩვენი ძმები, კუდა ხარივით სხვებს ბუზებს უგერებენ, ბჭობენ და ზრუნავენ ჰაიკებისა და ველიკოროსების ბედზე, რომელთაც საქართველოსთვის ზიანის მეტი არაფერი მოუტანიათ.

ეს ორი თვეა(,) რაც გაიხსნა თბილისში ამიერ-კავკასიის ერთა სეიმი (საბჭო), შეადგინეს კიდეც სამინისტრო. ორივე ორგანოში ბელადობენ და ბატონობენ ჩვენი ს.-დემოკრატები.

როგორც სეიმი(,) ისე სამინისტრო შექმნილია ნაძალადევად. ერთ უღელში შეაბეს ძალათ სხვა და სხვა რწმენის, კულტურის და მისწრაფების ხალხები, რომლებიც უნებურად ჩავარდენ კრილოვის იგავ-არაკის გმირების როლში, რომლებში ერთი წყლისკენ მიიწევდა, მეორე უკან-უკან იხევდა, მესამე კი ჰაერში მიჭქროდა. ნეტა რა საერთო აქვთ სომეხს და ადირბეიჯანელ თათარს, რომლებიც მგლურად უცქერიან ერთმანეთს?! ან რუსსა და აბხაზს?! ან შესაძლებელია ერთი მთავრობა იქ, სადაც მკვიდრთა ერთი ნაწილი (მუსულმანები) იცქირებიან სამხრეთით, ოსმალეთისკენ, და იქით იშვერენ ხელებს, მეორე ნაწილი კი, სომხები და ქართველი ს.-დემოკრადები შესტრფიან ჩრდილოეთს, საიდანაც ეფინებათ მხოლოდ ცივი ბორიო?! ამიტომ ამიერ-კავკასიის სეიმი და მისი სამინისტრო უდღეურია, როგორც ხელოვნურათ შექმნილი, რაც იშვიათად ეტყობა სეიმის მუშაობას, და მათი დაშლა-დაფუშვა ეკუთვნის მოკლე ვადიან დროს.

ჩვენის ღრმა რწმენით, ამიერ-კავკასიაში შესაძლებელია დაარსდეს სამი სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელი რესპუბლიკა და სახელმწიფო: 1) საქართველოს რესპუბლიკა, 2) სომხეთის რესპუბლიკა და 3) ადირბეიჯანელ თათრების სახელმწიფო. რამდენად ადრე დაარსდება და ჩამოყალიბდება ეს სამი პოლიტიკური ერთეული, მით უკეთესი. ამას მკაცრად თხოვილობს ამ სამ მეზობელ ეროვნებათა ინტერესები და ისტორიის ლოღიკა. დროა დავანებოთ თავი სხვა და სხვა მავნე ექსპერიმენტებს და ოცნება-უტოპიის ვარდისფერ სფეროდან დავეშვათ რეალურ ნიადაგზე! დროა მივიხედ-მოვიხედოთ, ვისარგებლო(თ) წარსულით, მივიღოთ სახეში ევროპის მაგალითები და მით შევიგნოთ ისტორიული სინამდვილე!..

თუ არ ვცდები, წარსულ დეკემბერში ოსმალეთის მთავრობამ წინადადება მისცა ჩვენს ეროვნულ საბჭოს ზავზე მოლაპარაკების შესახებ, აგრეთვე გერმანია ელოდა ჩვენს დელეგატებს ბრესტ-ლიტოვსკში. ჩვენმა ოპეკუნებმა — ს.-დემოკრატებმა შეუთვალეს: რუსეთის დამფუძნებელ კრებას უნდა შევეკითხოთ, მათ სურვილსა და ბრძანებას უნდა დავემორჩილოთო.

ეჭვი არაა, ჩვენი ასეთი პასუხი სიბრალულის ღიმილს მოჰგვრიდა ნემცებსა და ოსმალებს.

შესდგა პეტროგრადში რუსეთის დამფუძნებელი კრება, მაგრამ იგი ხიშტებით და მათრახებით გარეკეს რუსეთის ბოლშევიკებმა და თვით შეუკრეს ნემცებს სამარცხვინო ზავი, გაჰყიდეს რუსეთი და ამიერ-კავკასია(,) რომელსაც ადრევე მოაშორეს ჯარები. ჩვენდა დაუკითხავად ოსმალებს მიაკუთვნეს ბათომის ოლქი, ყარსი და არდაგანი, ე. ი. ამიერ-კავკასიის ფაქტიური ბატონობა.

ამ ორი თვის წინათ ოსმალეთმა კვლავ მოისურვა ჩვენთან ზავზე მოლაპარაკება. ამიერ-კავკასიის ახლად გახსნილი სეიმი თანაგრძნობით შეხვდა ამ წინადადებას და გაგზავნა ტრაპიზონს მრავალ რიცხოვანი დელეგაცია სამივე ეროვნებიდან შემდგარი. დიდის ზავთით და ზეიმით წავიდენ ამიერ(-)კავკასიის დელეგატები. რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოვიდენ ოსმალეთის დელეგატებიც და მოსთხოვეს მანდატი ჩვენს დელეგატებს, რითაც ფრიად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეს ეს უკანასკნელნი. ოსმალებს სამართლიანად სურდათ გაეგოთ(,) თუ ვინ იყვნენ ეს ჩვენი დელეგატები, რომელი სამეფოს ან რესპუბლიკის წარმომადგენელნი, რა დავალებით და უფლებით აღჭურვილნი, სურდათ გაეგოთ(,) თუ რას წარმოადგენდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა(,) ცენტრალისტური იყო იგი თუ ფედერაციული, ვისგან იყო იგი ცნობილი, სუვერენული იყო იგი თუ ვასალური, რა კონსტიტუციის მქონე და სხ.

ყველა ამ კანონიერ კითხვებზე ოსმალეთის დელეგატებმა მიიღეს მეტად ბუნდოვანი და [illegible] პასუხი, რამაც მოჰგვარა მხოლოდ დამცინავი ღიმილი. და ყოველივე ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ამიერ-კავკასიის სეიმი და ცენტრალ რესპუბლიკის დაარსება იყო **ხელოვნური, მექანიკური**; ამავე დროს სეიმმა ვერ გაბედა და ვერ გამოაცხადა აშკარად ამიერ-კავკასია დამოუკიდებელ რესპუბლიკად და ეს ძირითადი საკითხი გადასცა კომისიას დასამარხავად.

სეიმის ასეთმა ყალბმა პოზიციამ გამოიწვია ადერბეიჯანელ თათრების წარმომადგენელთა და ქართველ ეროვნულ-დემოკრატიის სამართლიანი პროტესტი თვით სეიმშივე და შეჰქმნა არასასურველი სიტუაცია ტრაპიზონში გაგზავნილ დელეგატებისათვის. მოკლეთ რომ ვსთქვათ, ოსმალეთი არ სცნობს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკას, და არც ხელსაყრელია მისთვის. მას თავის საკუთრებად მიაჩნია და სურს, შემოიერთოს ადერბეიჯანი და სომხეთის ნაწილები. როგორც სჩანს, ამაში დასტურს სცემს გერმანიაც. დარჩა საქართველო, რომელთანაც ჰსურს ოსმალეთს ზავის შეკვრა და მეგობრული ურთიერთობა. მაგრამ საქართველოს სახელით ოსმალეთს არავინ ელაპარაკება; თვით ქართველ დელეგატებს ტუჩზე აკერიათ მხოლოდ ამიერ-კავკასია და სომხების ინტერესის დაცვა. ასეთმა სიყალბემ გამოიწვია ოსმალეთის აგრესიული პოლიტიკა, ჯარებით შემოიჭრა ამიერ-კავკასიის საზღვრებში, ზავზე მოლაპარაკების დროს; მას ჰსურს ძალით დაპყრობა ყარსის, არდაგანის და ბათომის ოლქებისა. ამავე დროს ცინიკურად გვეუბნებიან: მოაწერეთ ხელი ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებასაო. ამრიგად ოსმალები გვიგდებენ მასხარად და ეს მასხარად აგდება სავსებით დავიმსახურეთ ჩვენი შეუგნებელი მოქმედებით.

დღეს ძლიერი ოსმალეთი ემუქრის ამიერ-კავკასიას. მას ჰსურს წაგვართვას სამხრეთით ორი დიდი სიმაგრე და დასავლეთით საუკეთესო ბოლაზი, შავი ზღვის კარები ბათუმი. ამ საქმეში ოსმალთ ხელს უწყობენ თვით ამიერ-კავკასიის ზოგიერთი ერები, რომლებიც არ მალავენ თავის სიმპატიას ოტომანის იმპერიისადმი.

დავრჩით ორი მილიონი ქართველი, შევძლებთ კი ძლიერი მტრის მოგერებას? გვყავს კი ამისათვის საკმაო ჯარი(,) აფრთოვანებული პატრიოტული გრძნობით? გვაქვს კი საჭირო ფული, სურსათი და სამხედრო მასალა? რისთვის ან ვისთვის უნდა ვიბრძოლოთ ქართველებმა? ვიცით(,) რომ ოსმალები ჩვენს წინააღმდეგ არ არიან ამხედრებული; მათი მიზანი სულ სხვაა...

მართალია, ჩვენი ტურფა სამშობლო დღეს დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი, მაგრამ არ გვეშინია. ქართველი ერი მუდამ განთქმული იყო თავის გმირობით და ვაჟკაცობით. იგი არა ერთხელ შებმია ათჯერ და ოცჯერ უფრო მრავალ რიცხოვან მტერს, მაგრამ საარაკოთ გაუმარჯვნია. ეს გმირული სული დღემდე შერჩენია ქართველ ერს, რაც ნათლად დაამტკიცა ამ მსოფლიო ომის დროს და ახლაც შავი ზღვის ფლოტის ხელში ჩაგდებით. ოსმალთა შემოტევამ გამოაფხიზლა ქართველი ერი და აღძრა მასში პატრიოტული გრძნობა. განსაკუთრებით დიდი მზადება და აფრთოვანება ეტყობა დასავლეთ საქართველოს, უმთავრესად კი გურიას. ქართველი ერი თვით არავის ერჩის, სხვას არ შეესევა, მაგრამ ძვირათ დაუსვამს მტერს შემოსევას და ოჯახის აწიოკებას. ამ დროს ქართველი იქცევა ლომად, უძლეველ გმირათ და მუდამ ამარცხებს უძლიერეს მტრებსაც კი. ამის მაგალითი აურაცხელია ჩვენს წარსულში. ახლაც მწამს, რომ ქართველი ერი ამ დიდ განსაცდელის დროსაც გამოვა გამარჯვებული. მაგრამ თანაც მჯერა, რომ ასე არ გამწვავდება მდგომარეობა და კეთილგონიერი ოსმალეთი მორიგებით გაათავებს საქმეს. ამ კეთილ გონიერებას და პოლიტიკურ შორს ჭვრეტას გამოიჩენენ ჩვენი დელეგატებიც და ამ რიგათ* ტრაპიზონში მოლაპარაკება მალე დამთავრდება ურთიერთ** დათმობით და მტკიცე ზავით.

რიონელი

**ნიკო ნიკოლაძე**

(გაზ. „საქართველო“, 1918, 27 (9). III, № 67).

* გაზეთშია: ბუნდა.

* გაზეთშია: ქათალიკოსობა.

* გაზეთშია: რიგით.

** გაზეთშია: ურთერთ.

დასასრული. დასაწყისი იხ. „საქართველო“, № 5, 1990.

# თავი შევიკავოთ!

## „თავისუფალი ეკონომიკური ზონის“ დაარსების მიზანშეწონილობის შესახებ

**უკანასკნელ** პერიოდში ქართულ პრესასა თუ ტელევიზიაში, ოფიციალურ შეკრებებზე გამოითქვა მოსაზრება საქართველოში, კერძოდ ქ. ფოთში ე. წ. „თავისუფალი ეკონომიკური ზონის“ შესახებ. მკითხველთა ფართო წრეს მოეხსენება, რომ ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ა. ბაქრაძემ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ ამა წლის 19 იანვრის ნომერში.

თავს უფლებას მივცემთ, გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება ჩვენთან „ზონის“ დაარსების მიზანშეწონილობის შესახებ.

„თავისუფალი ეკონომიკური ზონები“ — ანუ როგორც მათ ზოგჯერ უწოდებენ, „თავისუფალ საექსპორტო სამრეწველო ზონები“ — უკვე აპრობირებულია საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყანაში (ძირითადად განვითარებად სახელმწიფოებში) და გარკვეული პრაქტიკული გამოცდილებაც დაგროვილია. მსგავსი ზონების შექმნა კარგი ცხოვრებით არაა ნაკარნახევი და სახელმწიფოები ამ ზონების მეშვეობით ცდილობენ, დაძლიონ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, მოწინავე სამრეწველო გამოცდილების მწვავე დეფიციტისა და დასაქმების გართულებული სიტუაციის გამო.

რას ნიშნავს „თავისუფალი ეკონომიკური ზონა“? იმ განმარტებით, რომელიც გავრცელებულია მსოფლიოში, თავისუფალი ეკონომიკური ზონა (ან თავისუფალი საექსპორტო სამრეწველო ზონა) წარმოადგენს ანკლავს* ეროვნული საბაჟო ტერიტორიის ფარგლებში, რომელიც, როგორც წესი, მდებარეობს საერთაშორისო აერო ან საზღვაო პორტის მახლობლად, სადაც მანქანა-დანადგარები და მაკომპლექტებელი მასალები თავს იყრიან საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით. იმპორტირებული პროდუქცია გადამუშავდება ამ ზონაში და შემდეგ ხდება მისი ექსპორტირება მიმღები ქვეყნის საბაჟო ორგანოების ჩაურევლად. საბაჟო გადასახადის გადება გამორიცხულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პროდუქცია გადადის მიმღები ქვეყნის ეროვნულ საბაჟო ტერიტორიაზე.

რა მიზანს ისახავს „თავისუფალი ეკონომიკური ზონების“ შექმნა?

ეკონომიკური თვალსაზრისით მისი არსებობა ყველაზე მნიშვნელოვანია დასავლეთიდან ახალი ტექნოლოგიის შემოტანის, წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის, მუშაკთა (როგორც მუშების, ისე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის) პროფესიული დონის ამაღლების, მათ მიერ ახალი საწარმოო ჩვევების შეძენის, სავალუტო ამონაგების მიღების, დასავლეთის საწარმოებთან და კომპანიებთან სამეურნეო კავშირების გაფართოების, დასაქმების პრობლემის შემსუბუქებისა და სხვა პრობლემების გადაწყვეტისათვის.

წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით არ შეიძლება ასეთი ზონების შექმნამ გარკვეული დადებითი შედეგები არ მოგვცეს, ეს უეჭველია და საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითები ამაზე ნათლად მეტყველებს. ის ფაქტი, რომ მსოფლიოში დღეისათვის 260-ზე მეტი ზონა არსებობს, მიუთითებს მათს გარკვეულ დადებით როლზე ახალგაზრდა სახელმწიფოების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. მაგრამ ეს სრულებით არ იძლევა საშუალებას იმის მტკიცებისა, რომ ასეთი ზონების შექმნა ისეთივე ეფექტური იქნება საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნებისათვის. ჯერ ერთი, საქართველო არაა დამოუკიდებელი არც პოლიტიკურად და არც ეკონომიკურად; საქართველო არაა სრულუფლებიანი მესაკუთრე როგორც მიწისა, ისე მის ტერიტორიაზე არსებული მთელი ბუნებრივი სიმდიდრისა; საქართველოს, როგორც საბჭოთა ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკას, დღეს არ შეუძლია დამოუკიდებლად, ცენტრის ნებართვის გარეშე თვითონ გადაწყვიტოს ზონების შექმნის საკითხი. ამასთან ცენტრი, იმ წესის შესაბამისად, რითაც იქმნება საერთოდ „ზონები“, გარკვეულ ვალდებულებებს კისრულობს და ამით იგი მონაწილეობს „ზონის“ ფუნქციონირებაში. იგი იძლევა სახელმწიფო შეკვეთებს ე. წ. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქონელზე (ამ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს ეს შეკვეთები 100 პროცენტი იქნება თუ 50 პროცენტი), გამოყოფს შესაბამის ფონდებს ამ შეკვეთების უზრუნველსაყოფად, მან შეიძლება დაფაროს „ზონის“ საქმიანობის საწყის ეტაპზე საგადასახადო ბალანსის დეფიციტიც კი (ვალუტის სახეების მიხედვით), იგი ინარჩუნებს „ზონის“ ტერიტორიაზე არსებულ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს და ა. შ.

ბუნებრივია, რომ ცენტრალიზებული ორგანოების მსგავსი დამოკიდებულება „ზონისადმი“ მხოლოდ ამ უკანასკნელის ეკონომიკური აღმავლობის სურვილით არაა გამოწვეული. „ზონის“ ფუნქციონირება მათ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესთა სფეროში ექცევა.

ამასთან ერთად, ანგარიში უნდა გაეწიოს იმ გარემოებას, რომ „ზონების“ ფუნქციონირებამ სხვადასხვა ქვეყანაში დადებითთან ერთად სერიოზული ნეგატიური შედეგებიც გამოიწვია: 1. არ გამართლდა განვითარებადი ქვეყნების იმედები საზღვარგარეთული მოწინავე ტექნოლოგიის დიდი ოდენობით მიღების შესახებ, ვინაიდან ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნების მონოპოლიები ზონებში ძირითადად აარსებენ ისეთ საწარმოებს, რომლებიც სპეციალიზირებულია საქონლის წარმოების მხოლოდ ერთ (ჩვეულებრივ, ძალზე მარტივ) სტადიაზე, ამდენად საზღვარგარეთული კაპიტალური დაბანდებები ასეთ საწარმოებში დიდი არაა; 2. ის ფაქტი, რომ ჩვენი მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის პროფესიული მომზადების დონე განვითარებული ქვეყნების მუშაკთა შესაბამისი კატეგორიების დონესთან შედარებით დაბალია, ეჭვს არ იწვევს, მაგრამ გადაჭარბებით არ უნდა შევაფასოთ „ზონების“ პოზიტიური როლი სამუშაო ძალის პროფესიული მომზადების ზრდის თვალსაზრისით. საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითები მოწმობს, რომ ზონებში ადგილობრივი კადრების მიერ საწარმოო გამოცდილების შეძენა შეზღუდული ხასიათისაა და ძირითადად ხორციელდება უშუალოდ სამუშაო ადგილზე. მონოპოლისტური კაპიტალი ეკონომიკურად დიდად არაა დაინტერესებული, გასწიოს დამატებითი ხარჯები კადრების მომზადებისათვის განკუთვნილი სპეციალური სასწავლო დაწესებულებების ორგანიზაციაზე, მითუმეტეს, რომ კვალიფიციური საინჟინრო და სამმართველო პერსონალი ჩვეულებრივ, ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ საკუთარი, „თავისი“ ხალხით კომპლექტდება. ამავე დროს შეღავათები, რომელიც ეძლევა ზონის საზღვარგარეთელ და საბჭოთა მონაწილეებს სამუშაო ძალით უზრუნველყოფისთვის (მისი დაქირავებისა და დათხოვნის გამარტივებული წესიდან) — შესაძლებელია სამუშაო ძალის მოზიდვა სხვა რესპუბლიკებიდანაც მოხდეს — სხვას რომ თავი დავანებოთ, უარყოფითად იმოქმედებს ადგილობრივი კადრების ფსიქიკაზე. ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ სამუშაო ადგილებზე ადგილობრივი კადრების მომზადების გართულების შემთხვევაში საზღვარგარეთული ფირმები მიდიან სპეციალისტთა შეკვეცაზე და, ბუნებრივია, შეკვეცავენ არა თავიანთ, არამედ ადგილობრივ კადრებს.

საქართველოში ზონების შექმნას წმინდა ფინანსური (ვალუტის მიღების) თვალსაზრისითაც რომ შევხედოთ, აქაც არ არსებობს იმის გარანტია, რომ იგი ყველა შემთხვევაში ეფექტური იქნება. განვითარებადი ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, რომ მსგავსი ზონების შექმნა სრულიადაც არ იწვევს სავალუტო ამონაგების ავტომატურ უზრუნველყოფას. მათმა ფუნქციონირებამ შესაძლებელია სავალუტო სფეროში ნეგატიური შედეგებიც კი გამოიწვიოს და ამის მაგალითები მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს. ასე, რომ ამ ზონების მეშვეობით ვალუტის მიღება არაა ისე იოლი, როგორც ეს ზოგიერთს წარმოუდგენია და ეს სიძნელე დაკავშირებულია იმასთან, რომ საზღვარგარეთული ფირმები ზონაში მიღებული მოგების ხელახლა დაბანდებას კი არ ახორციელებენ, არამედ იგი ჩვეულებრივ გადააქვთ ხოლმე თავიანთ ქვეყანაში, მითუმეტეს, რომ ამ შემთხვევაში საბაჟო გადასახდელები მოხსნილია.

მოგების გადადინების ასეთი გაიოლება, რაც ზონაში ფუნქციონერი ფირმების გარანტირებული უფლებაა, ხელს კი უწყობს საზღვარგარეთული ინვესტორების (კაპიტალური დაბანდებების) მოზიდვას, მაგრამ ადგილობრივი ქვეყნის და, მით უფრო, მოკავშირე რესპუბლიკის სავალუტო უზრუნველყოფაზე უარყოფითად მოქმედებს. ამორტიზაციული ანარიცხებიც ხშირად ტრანსნაციონალურ კომპანიებში გადადის.

ამრიგად, ვალუტა კი რჩება ადგილობრივ სახელმწიფოს, მაგრამ მისი ოდენობა შედარებით მცირეა და იგი უმთავრესად გადასახადებიდან მიიღება. მაგრამ რადგანაც საზღვარგარეთული ფირმები შეღავათიანი დაბეგვრით სარგებლობენ, ეს, რასაკვირველია, ამცირებს სავალუტო ამონაგებს.

და ბოლოს ყველაზე მთავარი, დღეს, საქართველოში ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, „ზონების“ დაარსების საკითხს უნდა შევხედოთ არა მხოლოდ ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, არამედ იმ კუთხითაც, თუ რამდენად ეხამება იგი ეროვნული მოძრაობის ინტერესებს, რამდენად შეუწყობს იგი ხელს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღწევას. აქ კი პასუხი არ შეიძლება დადებითი იყოს.

ჩვენი აზრით, სანამ საქართველო არ მიაღწევს ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, თავისუფალი ეკონომიკური ზონა ეფექტიანად ვერ იარსებებს.

**რომან ხარებავა,**
**ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებისა და საქართველოს სახალხო ფრონტის ეკონომიკური სექციების წევრი.**

* **ანკლავი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს ერთი სახელმწიფოს ტერიტორიას, ან ტერიტორიის ნაწილს, რომელიც ყოველი მხრიდან გარშემორტყმულია სხვა სახელმწიფოს სამფლობელოებით და რომელსაც არა აქვს ზღვის ნაპირი.**

# ქრონიკა

**(დასასრული)**

**ერთიანი შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ იგი მიესალმება ამ მნიშვნელოვან ფაქტს ლიტველი ხალხის ცხოვრებაში და რომ აშშ-ს მთავრობას არასოდეს უცვნია ბალტიის ქვეყნების სსრკ-ს შემადგენლობაში ყოფნის კანონიერება.**

**ბუნებრივია, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმპერიის ცენტრის რეაქციას ლიტვის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაზე. უკანასკნელ პერიოდში მიიღეს ორი დადგენილება ამ საკითხთან დაკავშირებით: სსრკ სახალხო დეპუტატთა III ყრილობისა და სსრკ პრეზიდენტის მ. გორბაჩოვის მიერ. ყრილობის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ლიტვის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება არაკანონიერია და უნდა გაუქმდეს, ხოლო პრეზიდენტის მიერ მიღებულ დადგენილებაში „ლიტვის ტერიტორიაზე საბჭოთა მოქალაქეების უფლებებისა და სსრკ სუვერენიტეტის დაცვის შესახებ დამატებითი ზომების მიღების თაობაზე“ ნათქვამია, რომ სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარებმა უნდა მიიღონ სახელმწიფო საზღვრის დაცვისათვის აუცილებელი ზომები. ამავე დადგენილებით იკრძალება რესპუბლიკაში სანადირო თოფების გაყიდვა, ხოლო მოსახლეობა ვალდებულია 7 დღის განმავლობაში ჩააბაროს ცეცხლსასროლი იარაღი ადმინისტრაციულ ორგანოებს.**

**ლიტვის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ვ. ლანდსბერგისმა, მკაცრად გააკრიტიკა ეს დადგენილებანი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრკ ცენტრალური ხელისუფლების ასეთი ქმედება წარმოადგენს სხვა ქვეყნის საქმეებში უხეშ ჩარევას.**

**დასასრულ უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ მასობრივი ინფორმაციის „ცენტრალური“ საშუალებები დიდ ყურადღებას უთმობენ ლიტვის ინტერმოძრაობის მიერ ორგანიზებულ მიტინგებს, რომლებიც მიმართულია ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, რესპუბლიკაში სტაბილური სიტუაციაა და სამართალდამცავი ორგანოები აკონტროლებენ მას. ლიტველი ოფიციალური პირების განცხადებით „ცენტრალური“ ტელევიზია და პრესა შეგნებულად აყალბებს ფაქტებს და ამით ხელოვნურად ძაბავს მდგომარეობას. აქვე დავძენთ, რომ მოლაპარაკებები ლიტვის დელეგაციასა და სსრკ ხელისუფლებას შორის ლიტვის დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე გრძელდება. როგორც ამ მოლაპარაკებების ერთ-ერთმა მონაწილემ, ლიტვის დელეგაციის წევრმა ნიკოლაი მედვედევმა განაცხადა, მისი აზრით, მოსკოვი ვერ გაბედავს ლიტვის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენებას.**

**ბოროტების იმპერია**

# სსრკ-დან გასვლა თუ დამოუკიდებლობის აღდგენა?..

**ვინ** იფიქრებდა წლების წინ, თუ ისეთი დრო დადგებოდა, რომ სსრკ კონსტიტუციის 72-ე მუხლი, ფაქტობრივად მკვდარი მუხლი, რომელიც რესპუბლიკებს სსრკ-ს შემადგენლობიდან თავისუფალი გასვლის უფლებას აძლევს, გაცოცხლდებოდა და მისი ამოქმედების საკითხი რეალურად დადგებოდა. რამდენიმე, თუნდაც ერთი ათეული, წლის წინ ამაზე ფიქრიც კი აკრძალული იყო.

დღეს არათუ ფიქრი, ოფიციალური პრესისა და ტელევიზიის საშუალებით ხშირად გაიგონებთ: ვაშენებთ სამართლებრივ სახელმწიფოს, ამიტომ მივიღოთ დემოკრატიული კანონები, შევიმუშავოთ სსრკ-დან გასვლის მექანიზმი, და, ვისაც მართლა დამოუკიდებლობა სწყურია, გზა ხსნილი აქვს.

უცხოელი ჟურნალისტები საერთოდ გადარია ამ „პერესტროიკამ“, ცხვირები აქვთ ჩარგული საბჭოთა ლიდერის ნაწერებში, რომ როგორმე გაერკვიონ „გარდაქმნის“ ლაბირინთებში, ამ „გასვლის მექანიზმის შემუშავებამ“ ხომ აღაფრთოვანათ: ხედავთ, რა ხდება საბჭოთა კავშირში, რესპუბლიკებს უშვებენ კავშირიდან, ოღონდ მთავარია, მათ გასვლის კანონი დაიცვანო. მნიშვნელობა არა აქვს, ეს კანონი ვინმემ თავისი თვალით ნახა თუ არა, ანდა სსრკ-ს ამ ერთიმეორის გამომრიცხავ კანონთა კორიანტელში რომელი კანონით „გაგვიშვებენ“ და რომლით „დაგვტოვებენ“.

ვფიქრობთ, კონკრეტულად სსრკ-ს შემადგენლობიდან რესპუბლიკის გასვლის კანონის სქემაში იგულისხმება პრინციპი — „УХОДИШЬ? УХОДИ, НО“... რაც უნდა გაითვალისწინოს ამ „НО“-ში აბარგებულმა, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. მაგალითად, გასვლის შემთხვევაში „კავშირი“ მოითხოვს, რომ რესპუბლიკამ შეისყიდოს საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები, სანატორიუმები და ა. შ. თანაც მხოლოდ მყარი ვალუტით (ბუხარში შესაყრელი საკუთარი მანეთი აღარ ნებავს). უნდა გასწორდეს ხუთწლედის ბოლომდე აღებული სოლვალდებულებების ანგარიშებიც. უნდა დაიფაროს კავშირისადმი მიყენებული ყველა „ზარალი“, ცხადია, ვალუტით. სსრკ-ში ყოფნის (ანუ, როგორც გვაყვედრიდნენ, „სხვის კმაყოფაზე“ ყოფნის) სტაჟის მიხედვით ვალუტის მოცულობაც იზრდება. რესპუბლიკამ ის მოქალაქეებიც უნდა გაამზითვოს, ვინც არ მოისურვებს „ძმური ოჯახიდან“ წასვლას. ის ხალხი (მე-5 კოლონა), რომელთა რესპუბლიკაში ჩამოსახლების ნებართვა არავისთვის უთხოვიათ. ის კი არ აინტერესებს „კავშირს“, თუ ვინ გადაუხდის რესპუბლიკას დღიდან სსრკ-ში „გაწევრიანებისა“ რეპრესირებულთა, დახვრეტილთა, გაუბედურებულთა საზღაურს; მოშლილი ეკონომიკის, ეკოლოგიის, დემოგრაფიისა და სხვ. საფასურს. რა ფასში იანგარიშებენ, ვთქვათ, ხელოვნური მიგრაციის შედეგებს.

თუ რესპუბლიკამ როგორმე მოახერხა, კავშირის „ვალი“ გადაიხადა და გასასვლელად გაემზადა, მაშინ ცენტრი ალბათ უფრო მძლავრ და მრავალნაცად საშუალებას მიმართავს, ვიდრე კონსტიტუციაა. „სიტუაციის ნორმალიზაციის“ მიზნით, ექსტრემისტებისა და „პერესტროიკის“ მტრების ხელყოფისაგან „დემოკრატიისა და საჯაროობის“ დასაცავად შემოიყვანს სპეც. დანიშნულების ჯარებს, გამოაცხადებს საგანგებო წესებს და ა. შ. ანუ კონსტიტუცია გვერდზე გადაიდება და სიტუაციას ტანკები გააკონტროლებენ. მერე მთელ სსრკ-ში ჩაატარებენ კრებებს, სადაც დაიგმობა რესპუბლიკის ურჩობა. თვად რესპუბლიკაშიც მრავლად ჩატარდება ასეთი კრებები შინამოღალატეების წყალობით (იმპერია ხომ შინაგამცემლებზეა აშენებული)... და რესპუბლიკას ისლა დარჩება, ბედს შეურიგდეს, სამაგიეროდ, ფედერაციის ანუ იმპერიის ურღვევობის „წმინდათაწმინდა“ პრინციპი დაცული იქნება. ამის საშიშროება კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან ახლა პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებასთან ერთად ძალაუფლება ერთი ადამიანის ხელში მოიყრის თავს.

ასე, რომ რესპუბლიკების სსრკ-ის შემადგენლობიდან გასვლის სამართლებრივი საკითხი, დაფუძნებული გასვლის კანონზე, სრული აბსურდია. აბსურდია თუნდაც იმ ფაქტის გამო, რომ სსრკ არასამართლებრივი სახელმწიფოა, სადაც ხალხების ბედი ტელეფონის ზარით წყდება და „დაძმობილებული“ რესპუბლიკიდან არც ერთი თავისი ნებით არ მოხვედრილა „ძმლეთა ძმლე, ძმურ ოჯახში“. ხოლო თუ მართლა გვაინტერესებს ერთა თვითგამორკვევისა და თვითგამოყოფის იდეა, იგი ცენტრის მიერთავსმოხვეულ და მოღალატეების მიერ მიღებულ კანონს კი არ უნდა ეყრდნობოდეს, არამედ ორი თანასწორუფლებიანი სახელმწიფოსათვის ურთიერთმისაღებ ხელშეკრულებას.

ვინაიდან ე. წ. გასვლის კანონი მხოლოდ ერთი მხარის — „კავშირის“ ინტერესებს იცავს და ამასთან მისი განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელიცაა, საქართველომ სსრკ-დან გასვლა კი არ უნდა მოითხოვოს, არამედ დამოუკიდებლობის აღდგენა, ანუ:

**ა) რუსეთ-საქართველოს 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულების აღდგენა, რომლის დარღვევის გამოც საქართველო უკანონო გზით, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, სსრკ-ს შემადგენლობაშია.**

ხომ ცნობილია, რომ ეს ხელშეკრულებაც ჩვენივე შინამოღალატეების, რენეგატების წყალობით დაარღვიეს ხელშეკრულების ხელის მომწერებმა და ახლაც ისევ შინაგამცემების დახმარებით აპირებენ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმებას, რომ კიდევ ერთი საუკუნე, თუ მეტი არა, თვალებში შევყუროთ „უფროს ძმას“, არაფერი შეგვეშალოს, თორემ „უფროსი ძამია“ „ლაფატკას“ ხელს დაავლებს და სამაგალითოდ დაგვსჯის. დასაჩუქრებაც უყვარს ლალატისთვის: ტრანსკავკასიის რკინიგზებს, ჟინვალჰესებს, ხუდონჰესებს, ატომურ რეაქტორებს დაგვიგეგმავს ასაშენებლად, რომ პატარ-პატარა ჭიაღუა მოღალატეებმა ცოტა ხელი მოითბონ და შემდეგ წყალობამიღებულები ატლანტებად შეუდგნენ ძირმორღვეულ „მარჩენალ“ იმპერიას. ასე ხორციელდება „სალაფავთან მიყენების“ პრინციპი.

**ბ) რუსეთის საოკუპაციო ჯარების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.**

ქართველი კაცი ღვარძლიანი არასოდეს ყოფილა. მან ძმობისა და მეგობრობის ფასიც იცის. თავისუფალი და დამოუკიდებელი მეგობრულ ხელს გაუწვდის ყველა კეთილისმყოფელს და კეთილმეზობლურ ურთიერთობას დაამყარებს ასეთსავე დამოუკიდებელ და თავისუფალ რუსეთთან.

**ანდრო ტოროტაძე**

# წერილები რედაქციას

**ცხინვალის** რაიონის სოფელი ვანათი, რომელიც მდებარეობს პატარა ლიახვის ხეობაში, ძველი ქართული სოფელია. ამაზე მიუთითებს ამჟამად სავალალო მდგომარეობაში მყოფი ძველი ციხე, მაცხოვრის და ღვთისმშობლის სამი ეკლესია.

წლების განმავლობაში მაღალმთიანი სოფლებიდან, რომლებიც ოსებითაა დასახლებული, ხდებოდა მოსახლეობის ჩამოსახლება სოფელ ვანათში. თანაც უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოსახლებულების უმრავლესობამ მთაშიც შეინარჩუნა სახლები და ნაკვეთები. დაახლოებით 10-12 წლის წინათ სოფელ ვანათში მოხდა მიწათსარგებლობის უხეში დარღვევა, როდესაც ეგრეთ წოდებული კიკუაანთ უბნის მიმდებარე მეურნეობის სახნავ-სათესი მიწა, სადაც ადრე ხორბალს და სიმინდს თესავდნენ, საკარმიდამო ნაკვეთებად დაანაწილეს და ადგილობრივ და სხვა სოფლებიდან ჩამოსახლებულ ოს მოსახლეობას დაურიგეს. სამწუხაროდ, მაშინ სოფლის მკვიდრ მოსახლეობას არ მიუმართავს ზემდგომი ორგანოებისათვის სოფლის სახნავ-სათესი მიწის უკანონოდ დანაწილების გამო.

1988 წლის აპრილში სოფელ ვანათის მცხოვრებლებმა (81 კაცი) მიმართეს განცხადებით საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის ცკ-ს, მინისტრთა საბჭოს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რადგან სოფელ ვანათში შეიქმნა საგანგაშო მდგომარეობა სოფლის სახნავ-სათესი მიწის უკანონო დანაწილების გამო. სოფელ სტირქომში 1987 წელს მომხდარი მეწყერული მოვლენების საბაბით, რის შედეგად დაზიანდა რამდენიმე სახლი (დაახლოებით ოთხი-ხუთი სახლი), რაიონის ხელმძღვანელობამ დაიწყო არა მარტო სტირქომიდან, არამედ მთის, ოსებით დასახლებული სხვა სოფლებიდან, როგორიცაა მარმაზეთი, მარალეთი, გერი, ღვრია, საბოლოკე, წყალწმინდა, ელტურა და სხვა, მოსახლეთა მასიური ჩამოსახლება სოფელ ვანათის სახნავ-სათეს, საძოვარ მიწებზე (დაახლოებით 50 კომლი). მაგრამ აღნიშნული განცხადებები გადმოგზავნილი იქნა ქ. ცხინვალში და საბოლოოდ მოხვდა იმ პირებთან, რომლებიც ეწეოდნენ სახელმწიფო მიწების უკანონო დანაწილებას, სახელდობრ ცხინვალის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის რუსლან ჩოჩიევის და აგროსამრეწველო გაერთიანების მაშინდელი თავმჯდომარის კოტე ბაგაევის ხელში.

ამის გამო სოფელ ვანათის მოსახლეობამ 1988 წლის ივნისში ხელმეორედ მიმართა განცხადებებით (22 კაცი) აღნიშნულ ზემდგომ ორგანოებს და აგრეთვე სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებას და საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს. როგორც სოფლის მოსახლეთა სახელზე მოსული პასუხებიდან ჩანს, ყველა ეს განცხადებები საბოლოოდ გადმოეგზავნა საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს; გარდა ამისა, სოფელ ვანათის მცხოვრებთა კოლექტიური განცხადება გაგზავნილი იქნა საქართველოს სსრ პროკურატურაში. სოფელ ვანათში იმყოფებოდა რესპუბლიკის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის რუსთაველის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის წარმომადგენელი ნ. ხადური, რომელმაც ადგილზე შეისწავლა სოფელში შექმნილი ვითარება და დარწმუნდა განცხადებებში მოყვანილი ფაქტების სისწორეში, სოფელ ვანათში მიწათსარგებლობის უხეში დარღვევების შესახებ იყო გადაცემები საქართველოს სსრ რადიოთი და ტელევიზიით. სოფელ ვანათში შექმნილ საგანგებო მდგომარეობას შეეხნენ სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეები რეზო ამაშუკელი და იოსებ ცისკარიშვილი გაზეთ „კომუნისტში", 1988 წლის 26 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „კვლავ განუკითხაობა?".

სოფლის მცხოვრებთა სახელზე მოსული პასუხებიდან ნათელი ხდება ის საქმე, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა ქართული მიწების ასეთი განუკითხავი დანაწილება. ცხინვალის რაიონის აღმასკომმა, საქართველოს სსრ გეოლოგიური სამმართველოს არასწორი დასკვნის საფუძველზე, 1987 წლის 19 მაისს მიიღო გადაწყვეტილება დამეწყრილ უბანზე მოსახლეობის შემდგომი ცხოვრების შეუძლებლობის შესახებ და ეს გადაწყვეტილება გადაუგზავნა სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც დაეთანხმა აღნიშნულ გადაწყვეტილებას და მიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აღნიშნული საკითხის გამო. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1987 წლის 9 სექტემბრის №466 დადგენილებით დართო ნება სოფელ ვანათის საცხოვრებელი ზონის მიმდებარედ 12 ჰექტარი სახნავი ფართობის გამოყოფისა. დამეწყრილი მთის სოფლებიდან ოჯახების ჩამოსახლებლად (ეს იმ დროს, როდესაც მხოლოდ სოფელ სტირქომში დაზიანდა რამდენიმე სახლი მეწყერისაგან, ხოლო ზემოთ ჩამოთვლილ მთის სოფლებში დღემდე არავითარი მეწყრული მოვლენები არ განვითარებულა.).

როგორც საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის მემცენარეობის პროდუქციის წარმოებისა და გადამუშავების მთავარი სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ო. ბედიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი გაგზავნილი წერილიდან (25. 10. 88 №23-14/1598-36) ჩანს, არსებობს საქართველოს სსრ გეოლოგიური სამმართველოს კომისიის ახალი დასკვნა, რომელიც 1988 წლის 25 აგვისტოს გადაუგზავნეს ცხინვალის რაისაბჭოს აღმასკომს, რომელიც დღემდე რეაგირების გარეშე არის დატოვებული. ო. ბედიას წერილში მოყვანილია დარღვევების ის ფაქტები, რომლებიც აღმოჩენილია შემოწმების შედეგად და მითითებულია კონკრეტულ დამრღვევ პირებზე. ჩამოსასახლებლად გამოყოფილი 12 ჰექტარი სახნავი მიწა 48 ოჯახის ნაცვლად განაწილებულია 52 ოჯახზე. ჩამოსახლებულთა ნაწილს მიწები მისცეს იმ ფართობიდან, რომელიც საკარმიდამო ფონდით არ იყო გამოყოფილი. ადგილი აქვს მეურნეობის ნათესებით დაკავებული ფართობიდან მიწის ნაკვეთების თვითნებურად მიტაცებას და უკანონო მშენებლობებს. ცხინვალის რაიონის სოფელ ვანათის მეცხოველეობის კომპლექსის ხელმძღვანელობის წაყრუებით და მიწათმფლობელობის უხეში დარღვევით 21 მოქალაქეს გამოყოფილი და მითვისებული აქვს 4,71 ჰექტარი მიწა, აქედან საზოგადოებრივი სახნავი მიწა, რომელიც საკარმიდამო ფონდად არ იყო გამოყოფილი, გაცემულია 3 ჰექტარი, ხოლო 1,71 ჰექტარი საკარმიდამო ფონდიდან კანონის დარღვევით არის გაცემული. სოფელ ვანათის ტერიტორიაზე ჩამოსასახლებლად გათვალისწინებული 52 ოჯახიდან ქ. ცხინვალში მცხოვრებ 9 მოქალაქეს 0,06 ჰექტარის ნაცვლად გამოყოფილი აქვს 0,25 ჰექტარი მიწა. მოგიყვანთ ერთ საყურადღებო აბზაცს ო. ბედიას წერილიდან: „გეოლოგიური სამმართველოს კომისიის ახალი დასკვნით აუცილებლობას არ წარმოადგენს სოფელ სტირქომში მცხოვრებთა ა. ჩოჩიევის, დ. ჩოჩიევის, ლ. ჩოჩიევის, ა. ჩოჩიევის, ს. თიბილოვის და ე. ჩოჩიევის ოჯახების ვანათის ტერიტორიაზე ჩამოსახლება მათი ადრინდელი სამოსახლო ადგილმდებარეობის ინჟინრულ-გეოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების გამო".

ჩვენი აზრით, მით უმეტეს არ უნდა წარმოადგენდეს აუცილებლობას ზევით ჩამოთვლილი მთის სოფლებიდან ოჯახების ჩამოსახლება სოფელ ვანათის ტერიტორიაზე, საიდანაც ჩამოსახლება დაიწყეს სოფელ სტირქომში მომხდარი მეწყერული მოვლენების საბაბით. გაუგებარია, რატომ მისცეს ქ. ცხინვალში მცხოვრებ 9 მოქალაქეს: ე. ვალიევს, მ. ჩოჩიევს, ა. ჩოჩიევს, თ. ჩოჩიევს, ვ. ალბოროვს, ს. ალბოროვს, ქ. კულუმბეგოვს, ს. ბოლოთაევს და ვ. ვალიევს 0,25 ჰექტარი მიწის ნაკვეთები, ან რატომ უნდა მისცენ მათ თუნდაც 0,06 ჰექტარი მიწის ნაკვეთები სოფელ ვანათის ტერიტორიაზე, იქნებ ქ. ცხინვალიც მეწყერსაშიშ ზონად ითვლება? და ეს ხდება იმ დროს, როდესაც ადგილობრივი მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ნაწილს არ გააჩნია ნორმით გათვალისწინებული სიდიდის ნაკვეთები, მცირე მიწიანობის გამო ბევრმა ახალგაზრდამ დატოვა სოფელი, სხვა ადგილს მიაშურა საცხოვრებლად და სამუშაოდ. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თუნდაც საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის გ. მგელაძის ტელევიზიით გამოსვლიდან. მეურნეობის სახნავ-სათესი მიწების საკარმიდამო ნაკვეთებად დანაწილება სასტიკად აკრძალულია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ცხინვალის რაიონის ხელმძღვანელობამ შეცდომაში შეიყვანა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო იმით, ვითომ ჩამოსახლებულებისათვის გამიზნული მიწის ნაკვეთებს არ გააჩნდათ სოფლის მეურნეობის პროდუქტებისათვის საწარმოო მნიშვნელობა. ამ ფაქტზე ხაზგასმით არის მითითებული ცხინვალის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის რუსლან ჩოჩიევის წერილში (19. 05. 88 წ. №72/01-15), რომელიც გაგზავნილია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისადმი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორის ა. კოჩიევის წერილში (18. 11. 88 წ. №12-219. 88), რომელიც გაგზავნილია საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის განყოფილების მოადგილის ა. ბუდაგაშვილისადმი. სინამდვილეში ჩამოსახლებულებისათვის გამოყოფილი მიწის ფართობი წარმოადგენს სოფელ ვანათის საუკეთესო მაღალნაყოფიერ სახნავ-სათეს მიწას და მასზე უკეთესი მიწა სოფელს არ გააჩნია. ამის გამო მიგვაჩნია, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 9 სექტემბრის №466 დადგენილება 12 ჰექტარი სახნავი ფართობის ჩამოსახლებულებისათვის გამოყოფის შესახებ არ არის სწორი.

მიუხედავად სოფლის მოსახლეთა სამართლიანი მოთხოვნებისა, სოფელ ვანათში ფაქტიურად მიწათსარგებლობის დარღვევების გამოსასწორებლად დღემდე არავითარი ღონისძიება არ არის გატარებული. უკანონოდ ჩამოსახლებულებმა და მიწის მიმტაცებლებმა მშვიდად ააშენეს სახლები და ახლაც აგრძელებენ მშენებლობებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩამოსახლებულებმა დაიწყეს მიწით სპეკულაცია. მაგალითად, სოფელ საბოლოკედან ჩამოსახლებულმა ვინმე ვალიევმა, რომელსაც 0,25 ჰექტარი მიწა მიუზომეს, მიცემული მიწის ნაკვეთი გაყიდა ქ. ცხინვალში მცხოვრებ სულიკო კაბულოვზე, რომელმაც უკვე სასწრაფოდ ააშენა სახლი.

აღნიშნული ვითარება იწვევს სოფელ ვანათის მკვიდრი მოსახლეობის აღშფოთებას, სოციალური და ზნეობრივი კლიმატის და აგრეთვე სოფლის იერის გაფუჭებას და იმის საშიშროებას, რომ მათ მოუწევთ თავიანთი მამაპაპური ადგილებიდან აყრა.

სოფელ ვანათის მცხოვრებლები კვლავინდებურად კატეგორიულად მოითხოვენ სოფელში უკანონობისა და თვითნებობის აღკვეთას, სოფლისათვის მისი კუთვნილი სახნავ-სათესი მიწების დაბრუნებას.

**სოფელ ვანათის მკვიდრნი**

●

**№1 ტრესტის სახალხო ფრონტის პირველადი ჯგუფის მიმართვა ტრესტის ხელმძღვანელებისადმი, პარტიული და კომკავშირული კომიტეტებისადმი**

მოვლენების განვითარებამ ცხადყო, რომ ახლოვდება რუსეთის მოდერნიზებული იმპერიის ნგრევისა და დაშლის ეტაპი, ჩვენ, როგორც ანექსირებული ქვეყნის შვილებმა, უპირველესი როლი უნდა ვითამაშოთ ამ საქმეში, რათა საქართველომ აღიდგინოს დაკარგული სახელმწიფოებრიობა, რაც მას გააჩნდა 1918-21 წლებში და ხელი შევუწყოთ ზოგადსაკაცობრიო, ჰუმანურ იდეალებზე დამყარებული საზოგადოების შექმნას.

დღეისათვის უკვე ფარდა აეხადა იმ გაყალბებულ ისტორიას, რომელმა ისტორიამაც „წითელი არმია" მშველელად და მხსნელად მოგვივლინა, ხოლო კომუნისტური პარტია ხალხს მზრუნველად და ისტორიის შემომქმედად. არადა, საუბედუროდ, მათი მონოპოლიის პერიოდი საშინელი ტერორიზმითა და სისხლიანი მოვლენებით გამოირჩევა მხოლოდ. საქართველოში კი, ამ ღვთისმშობლისწილხვედრ ქვეყანაში, მისი არსებობა უდიდესი დანაშაული და ვანდალიზმია.

მოგიწოდებთ ყველას, დატოვოთ კომუნისტური პარტიის რიგები.

სახალხო ფრონტის პირველადი ჯგუფის პოზიციაა:

სასწრაფოდ მოვითხოვთ კომკავშირული და პარტიული კომიტეტების გაუქმებას. იმედი გვრჩება, რომ პარტია თავისთავს თვითონ გამოუტანს განაჩენს თვითლიკვიდაციით, რითაც ის მოინანიებს თავის დანაშაულს კაცობრიობისა და პირველ რიგში ერის წინაშე.

**№1 ტრესტის სახალხო ფრონტის პირველადი ჯგუფი**

●

**საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარეს**

**ნ. ნათაძეს;**

**გაზეთ „საქართველოს" რედაქტორს**

**მ. ფაჩუაშვილს**

გაზეთ „საქართველოში" (№2, 12 ნოემბერი, 1989 წელი) გამოქვეყნდა „ჟურნალისტ ნაზი შამანაურის თხოვნა", რომელსაც წამძღვარებული ჰქონდა სარედაქციო შენიშვნა.

გავეცანით რა აღნიშნულ პუბლიკაციას, მაშინვე მივმართეთ სახალხო ფრონტის ხელმძღვანელს ბატონ ნოდარ ნათაძეს იმ მიზნით, რათა დადგენილი ყოფილიყო საქმის ჭეშმარიტი ვითარება. პასუხი დღემდე არ მიგვიღია, ხოლო მომდევნო ნომერში (№3, 22 ნოემბერი) პუბლიკაცია გაგრძელდა.

როგორც პირველ წერილში მიუთითებდით, პუბლიკაცია ატარებდა დეზინფორმაციულ ხასიათს და სრულიად უგულვებელყოფდა ფაქტებს. ის არაჯანსაღი აჟიოტაჟი, რომელიც გამოიწვია ამ პუბლიკაციამ, პირველ რიგში, საზიანოა თვით ავადმყოფებისათვის. ამავე დროს იგი ცილს წამებს იმ ადამიანებს, რომლებიც ემსახურებიან მედიცინის ამ უმძიმეს დარგს. ფსიქიატრიას დღეს მრავალი ორგანიზაციული სიძნელე და გადასაჭრელი პრობლემა გააჩნია, რომელთა არასწორი და არაობიექტური წარმოჩენა არ უწყობს ხელს მის შემდგომ სრულყოფას.

აქვე უნდა ხაზგასმით და სრული პასუხისმგებლობით აღვნიშნოთ, რომ არც ერთი ფსიქიატრიული დაწესებულება ჩვენს რესპუბლიკაში არ ყოფილა გამოყენებული, როგორც პოლიტიკური რეპრესიის საშუალება.

განსვენებული ნაზი შამანაურის ჯანმრთელობის მდგომარეობა არასოდეს არც ერთ სპეციალისტში ეჭვს არ იწვევდა. მას მარტოებულად ჰქონდა დანიშნული და უტარდებოდა შესაბამისი მკურნალობა. ჩვენი პრინციპული პოზიცია მდგომარეობს იმაში, რომ არაეთიკურია რომელიმე კრიტიკული წერილის გამოქვეყნება (ავადმყოფის თუ ჯანმრთელის), საქმის ვითარებაში წინასწარი გარკვევის გარეშე.

1983 წლის იანვარში „მწვავე მუცლის" სინდრომით ნ. შამანაური რესპუბლიკური ფსიქიატრიული კლინიკური საავადმყოფოდან გადაყვანილი იქნა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ქირურგიულ კლინიკაში. გაუკეთდა ოპერაცია და დადგენილ იქნა დინამიკური გაუვალობა. ტრავმულ დაზიანებებს ადგილი არ ჰქონია. უტარდებოდა სათანადო მკურნალობა. მეცხრე დღეს ავადმყოფი გარდაიცვალა. გაკვეთაზე პათოლოგოანატომიურად ასევე არ იქნა ნანახი რაიმე უმნიშვნელო ტრავმული დაზიანებაც კი. სიკვდილის მიზეზია მწვავე პერიტონიტი ნაწლავთა დინამიკური გაუვალობის ფონზე.

დარწმუნებული ვართ, რომ სახალხო ფრონტის ხელმძღვანელობა და გაზეთ „საქართველოს" რედაქცია შეეცდება, სწორად გაერკვეს საქმის ვითარებაში, ამჯერად არ აარიდებს თავს ჩვენს განმეორებით მიმართვას და ადგილზე გაეცნობა სათანადო მასალებს.

**გ. ნანეიშვილი,**
ფსიქიატრიის ინსტიტუტის დირექტორი;

**შ. გამყრელიძე,**
ფსიქიატრთა რესპუბლიკური სამეცნიერო სამედიცინო საზოგადოების თავმჯდომარე, ფსიქიატრიის ინსტიტუტთან და ფსიქიატრიულ საავადმყოფოსთან არსებული რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე;

**ა. მამარდაშვილი,**
რესპუბლიკური ფსიქიატრიული კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმი;

**თ. სილაგაძე,**
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი ფსიქიატრი;

**მ. გოკუჩავა,**
საქართველოს სახალხო ფრონტის ფსიქიატრიული ინსტიტუტის და ფსიქიატრიული საავადმყოფოს რეგიონალური ორგანიზაციის რწმუნებული.

6 დეკემბერი, 1989 წ.

**რედაქციისაგან:** პატივცემული ფსიქიატრების პასუხს აქამდე შეგნებულად არ ვბეჭდავდით, რადგან, ნაზი შამანაურის თხოვნის შესახებ არსებული გამოხმაურებები და რედაქციის მიერ მიკვლეული მასალები გვინდოდა ერთად გამოგვექვეყნებინა. ამას კი გარკვეული დრო სჭირდება. მაგრამ, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ზემოთ დაბეჭდილი პასუხის ავტორები ძალზე ღელავენ. ამიტომ დავბეჭდეთ ეს პასუხი (სხვათა შორის, ამ მიმართვამდე ჩვენ სხვა მიმართვა არ მიგვიღია). რედაქცია გაზეთის უახლოეს ნომერში სრულად შემოგთავაზებთ გამოხმაურებებსა და სხვა მასალებს ნაზი შამანაურის პუბლიკაციასთან დაკავშირებით. იქვე დავბეჭდავთ კომენტარსაც ზემოთ მოყვანილ მიმართვაზე.

●

გაზეთ „საქართველოში" (12. 03. 90) გამოქვეყნდა თემურ ქორიძის პოლემიკური წერილი „ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის". თ. ქორიძისეული პოლემიკის მეთოდი საზოგადოებისათვის ცნობილია და მასთან კამათის გაგრძელება, მეტი რომ არა ვთქვა, დროის ფუჭ ხარჯვად მიმაჩნია. რედაქციაც ამ საკითხზე კამათს დასრულებულად აცხადებს, მაგრამ არ შემიძლია უპასუხოდ დავტოვო ერთი ფაქტობრივი უზუსტობა, რაზედაც თ. ქორიძეს ჩემს წინააღმდეგ მთელი თავისი უხამსი გამოხდომა აქვს აგებული.

აქამდე თ. ქორიძის ერთადერთ ღირსებად მისი ლიტერატორობა, და მაშასადამე, ლიტერატურულ ცხოვრებაში ჩახედულობა მიმაჩნდა, მაგრამ აქაც შევმცდარვარ, თორემ სამწერლო ცხოვრებაში ჩახედულმა კაცმა უნდა იცოდეს, რომ „ერთ-ერთი სოლიდური გამომცემლობის მთავარი რედაქტორობიდან" ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინ გადავდექი და სკამდანაც გავედი. ამნაირ მოქმედებას კეთილსინდისიერი ადამიანები მაშინ მიმართავენ, როცა გრძნობენ, რომ მერანის ასოციაცია სახედრისას გაუთანაბრდა და სულისშემხუთავ საზოგადოებრივ ატმოსფეროში, ნაოცნებარი ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ოფიციოზის გააფთრებული კამპანიისას, „სოლიდურ სავარძელში ჯდომა" უზნეობაა.

**დავით მჭედლური**

# რა გამოიძია პოდპოლკოვნიკმა კონდრაშოვმა საქართველოში?

**ანტიქართული** პუბლიკაციები საბჭოურ პრესაში ბევრი გვინახავს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ყველას გადააჭარბა კიევის სამხედრო ოლქის გაზეთ „ლენინსკოე ზნამიაში“ დაბეჭდილმა წერილმა სათაურით „რისთვის იქმნება მოიერიშე რაზმები საქართველოში“ („Для чего создаются штурмовые отряды в Грузии“), რომლის ავტორია სამხედრო ჟურნალისტი, პოდპოლკოვნიკი ა. კონდრაშოვი.

გადააჭარბა ჩვენდამი სიძულვილით, სიყალბითა და დემაგოგიით...

წერილი დიდი მოცულობისაა, სამი ნაწილისგან შედგება (დაიბეჭდა 1990 წლის 4, 5 და 6 იანვრის ნომრებში) და როგორც აღნიშნულია, წარმოადგენს „ჟურნალისტურ გამოძიებას“...

მაშ ასე, რა გამოიძია პოდპოლკოვნიკმა ა. კონდრაშოვმა?

თავიდანვე განვაცხადებთ, წერილი იმდენად ამაზრზენია, რომ უმჯობესია ყოველგვარი ემოციებისა და ვნებათაღელვის გარეშე განვიხილოთ. შევეცდებით გავარკვიოთ, რა მიზანს ისახავს ამგვარი პუბლიკაცია, რა საშუალებებით აღწევს თავის მიზანს და რა შედეგი მოჰყვება სინამდვილეში ამ მიზნის განხორციელებას.

პოდპოლკოვნიკი ა. კონდრაშოვი საქვეყნოდ აცხადებს, რომ ძლიერ უყვარს საქართველო... მე არაერთი წელი ვიცხოვრეო ამ სტუმართმოყვარე მიწაზე. აქ ჩემი სამი შვილის სამშობლოაო...(?!)

**«Очень люблю грузин — народ горячий, открытый».**

მაგრამ სანამ სიყვარულს „აგვიხსნიდეს“, კონდრაშოვს მოაქვს ნაწყვეტი გადამდგარი პოდპოლკოვნიკის, დეპუტატ ა. ჩერვონოპისკის გამოსვლიდან ყრილობაზე, თუ როგორ შესტკივა მას გული „დერჟავისათვის“, **«За державу обидно!»** რომ სამი სიტყვა არსებობს, რომლისთვისაც ყველამ უნდა იბრძოლოს — **«Держава, Родина, Комунизм»** და ა. შ. მის ნათქვამს სავსებით ვეთანხმებიო, აღნიშნავს კონდრაშოვი, მაგრამ თავიდან ვერ დავიჯერეო ჩერვონოპისკის ცნობა იმის შესახებ, ბალტიისპირეთსა და საქართველოში ექსტრემისტთა რაზმები ყალიბდებაო..

ჰოდა, ქართველების მოტრფიალე პოდპოლკოვნიკს გადაუწყვეტია, თავად გარკვეულიყო მდგომარეობაში.

ბედად, შვებულებამაც მოუსწრო. ოჯახურ თათბირზე გადაწყდა, „რაც არ უნდა დასჯდომოდათ“, თბილისში ჩამოსულიყვნენ. აკი, გვესტუმრნენ კიდეც!

კონდრაშოვი პირდაპირ საქმეზე გადადის — პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ მედესანტეებმა წრთობა ავღანეთში გაიარეს (იგულისხმება 9 აპრილის ბოროტმოქმედების ჩამდენი ჯარისკაცები), მაგრამ სინამდვილეში არც ერთი მათგანი იქ არ მსახურობდაო. **«Таковы факты!»** — აცხადებს მზვერავ-გამომძიებელი პოდპოლკოვნიკი.

სამაგიეროდ, ექსტრემისტები სულაც არ ჰგავდნენო უცოდველ კრავებს. თავისი აზრის დასამტკიცებლად კონდრაშოვი მკითხველს „ზარია ვოსტოკაში“ (გაზეთის ნომერსა და თარიღს არ უთითებს) გამოქვეყნებულ „ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კლინიკური საავადმყოფოს განყოფილების გამგე ა. წინდაძესთან (А. Циндадзе) საუბრის“ ნაწყვეტს სთავაზობს. იქ, თურმე, ნათქვამია — „მათ შორის, ვინც იმ ღამეს, გამთენიისას ჩვენთან მოიყვანეს, ბევრია არმიაში ნამსახური, ორი მათგანი „ავღანელია“, ორიც — სამბისტი. ძლიერი ბიჭები არიან, ასე უბრალოდ მათ ვერ დააგდებ...“

საბჭოთა კავშირში რომ საყოველთაო სამხედრო ვალდებულებაა, პოდპოლკოვნიკს ჩვენზე უკეთ უნდა მოეხსენებოდეს. უამრავი ქართველი რომ გააგზავნა საბჭოთა იმპერიამ ავღანეთში, სამარცხვინო, დანაშაულებრივ ომში, არც ესაა საიდუმლო. ქართველები რომ ჭიდაობას მისდევენ, ესეც კარგადაა ცნობილი. მაგრამ როდის მერე გახდა ექსტრემისტობის დამადასტურებელი საბჭოთა არმიაში წარსული სამსახური ან სპორტსმენობა? კაცი რომ დაფიქრდეს, კონდრაშოვის „ლოგიკას“ ეს ფაქტი კიდეც უნდა ეწინააღმდეგებოდეს — საბჭოთა არმიაში „ვალმოხდილი“ ახალგაზრდა განა შესაძლებელია ექსტრემისტი გამხდარიყო? მაგრამ, უბედურებაც ისაა, რომ პოდპოლკოვნიკი ლოგიკას არ დაგიდევთ, მისთვის მთავარია მკითხველი დაარწმუნოს, რომ ქართველი „ექსტრემისტები“ ფიზიკურად ძლიერი, საშიში მტრები არიან (ასე დაწვრილებითი განხილვა იმისთვისაა საჭირო, რომ ნათელი გახდეს, რა ყალბი, დემაგოგიური ხერხებით ცდილობს კონდრაშოვი ქართველებისადმი სიძულვილი ჩაუნერგოს რუს, საბჭოთა ჯარისკაცებს — გაზეთი ხომ, პირველ რიგში, ჯარისკაცებისთვისაა განკუთვნილი).

გენერალ-პოლკოვნიკი როდიონოვი თავის ღია წერილში, რომელიც მან გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ გაუგზავნა, მთელ პასუხისმგებლობას 9 აპრილის ტრაგედიისთვის ნაციონალისტების ლიდერებს აკისრებსო, — წერს კონდრაშოვი, — ყველაფერი გაკეთდა, რომ მოსახლეობაში მსხვერპლი არ ყოფილიყოო და სამხედროების რა ბრალია, რომ მათ მოწოდებებს დაუპირისპირეს ქვები, ფიცრები, არმატურა და სხვა საშუალებები (რა საშუალებები?! კონდრაშოვი მკითხველის ფანტაზიას ენდობა) ექსტრემისტების „ჯენტლმენური კომპლექტიდან“, ექსტრემისტებმა, როგორც მერე გამოირკვა, ყოველმხრივ მოამზადეს ტრაგედიაო(!). (საბჭოთა არმიასთან საბრძოლველად საუკეთესო საშუალება ფიცარი და ქვა რომ ყოფილა, პენტაგონში, ეტყობა, არ იციან. თორემ რაკეტებსა და ატომურ ბომბებზე მილიარდებს არ დახარჯავდნენ).

პოდპოლკოვნიკი რამდენიმე ჯარისკაცს „იმოწმებს“, არ ღირს, ალბათ, ამაზე შეჩერება, მაგრამ...

რიგითი ა. დობროვოლსკი თურმე იხსენებს, როდესაც ჩვენი მწყობრი მომიტინგეებს მიუახლოვდა..

**«...Навстречу кинулась девушка — грузинка с криком «Солдатики, милые, помогите мне!». Кричала она по-русски. Но ей не успели помочь. Два дюжих парня в черных рубахах схватили ее и вновь затащили в толпу. А вперед вытолкнули нескольких подростков, почти детей...».**

იხსენებს „ჰუმანისტი“ რიგითი და რა ქნას! ვერ „უშველა“ ქართველ ქალიშვილს...

რა შეიძლება უპასუხო ამ ცილისწამებას? ჩვენგან პასუხი, კონდრაშოვებისთვის რაიმეს ახსნა, არათუ შეუძლებელია, დამამცირებელიცაა. კიდევ ერთხელ ახსნა იმისა, თუ რა მოხდა 9 აპრილს, შეურაცხმყოფელია და თავის მართლებას ჰგავს. და ვისთან, მკვლელებთან!.. არა, ჩვენს წერილს სხვა მიზანი აქვს...

...არ უნდა დაგვავიწყდეს, პოდპოლკოვნიკს ქართველები „უყვარს“, თანაც უშეცდომოდ არჩევს, ვინაა „ნამდვილი“ ქართველი და ვინ არა. მისი თქმით, ისინი, ვინც ხალხი გამოიყვანა მთავრობის სახლის წინ ყოფილან „პოლიტიკანები“, რომლებსაც არც გონება, არც ღირსება და არც სინდისი არ გააჩნიათ!

**«Не настоящие они грузины, не люди — оборотни».**

ამგვარი შეურაცხყოფა სასამართლო წესით ისჯება (ისე, საინტერესო ექსპერიმენტის ჩატარება შეიძლება, რა მოხდება, პოდპოლკოვნიკ ა. კონდრაშოვს რომ უჩივლოს საქართველოს სახალხო ფრონტმა ცილისწამებისა და ერთაშორისი შუღლის გაღვივებისთვის?.. სამართლებრივ სახელმწიფოში მას, რასაკვირველია, დასჯიდნენ, მაგრამ ჩვენთან?.. ჩვენი საჩივრის ერთადერთი შედეგი, ალბათ, ის იქნება, რომ კონდრაშოვი ცნობილი პიროვნება გახდება, „პატრიოტი“ ნინა ანდრეევასავით.)...

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პოდპოლკოვნიკი ერთი სიტყვითაც კი არ წერს იმას, რას მოვითხოვდით 9 აპრილს. რა თქმა უნდა, მან იცის, რომ ჩვენ მოვითხოვთ თავისუფლებას, მოვითხოვთ დამოუკიდებლობას, მოვითხოვთ იმას, რაც კონსტიტუციით გვეკუთვნის, მაგრამ ამის აღიარება მას ხელს არ აძლევს. მისი მიზანია მშვიდობიანი მიტინგი წარმოადგინოს შეიარაღებული ექსტრემისტების გამოსვლად...

გასაგები ხდება, როგორი ქართველი „უყვარს“ კონდრაშოვს — მორჩილი ქართველი, დამონებული, რომელიც კმაყოფილია „საერთო საბჭოურ სახლში“ „ბედნიერი“ ცხოვრებით და რომელსაც „უფროს ძმეზე“ მზე და მთვარე ამოსდის.

თავისი წერილით მზვერავ-გამომძიებელი პოდპოლკოვნიკი სრულიად სერიოზულად არწმუნებს მკითხველს, რომ ქართული ეროვნული მოძრაობა არსითაც და გარეგნულადაც ფაშისტური მოძრაობაა.

კონდრაშოვი მოგვითხრობს, როგორ წააწყდა მეტრო „რუსთაველთან“ „ქართველ შევარდენთა ლეგიონის“ მოწოდებას, საიდანაც გაიგო, რომ ცნობების მიღება შეიძლება ელგუჯა წიკლაურთან, დაურეკა, მაგრამ ელგუჯა წიკლაურმა ტელეფონით არაფერი უთხრა, „არტოს“ ბაღში დაიბარა.

**«Одному ехать было страшно»**, — წერს პოდპოლკოვნიკი. რამდენიმე კოლეგას შესთავაზა ერთად წასულიყვნენ, მაგრამ არავინ გაჰყვა, ეშინოდათ (რას იფიქრებს საბჭოთა ჯარისკაცი საბჭოთა ოფიცრებზე?), ბოლოს გაბედა კონდრაშოვმა და მარტო წავიდა, **«...словно в разведку»**. მანეჟი, სადაც ხშირად ძაღლების გამოფენები ეწყობა, მაგარი ბიჭებით სავსე დამხვდაო.

**«И еще в глаза сразу бросился кизилового цвета флаг с черно-белыми полосками в углу. Висел он необычно. Я же сначала не понял, что он мне напоминает, потом догадался, так свешивали фашистские штандарты, виденные в кинохронике»** (?!).

დაღვრემილმა მამაკაცმა (მხიარული „ბოევიკი“ პოდპოლკოვნიკს, ეტყობა, ვერ წარმოუდგენია), რომელსაც, ცხადია, შავი პერანგი ეცვა, თითქმის დაკითხვა მოუწყო, მერე სხვებიც შემოეხვივნენ „თავგანწირულ“ ოფიცერს, ჩანთა გააჩხრევინეს, მაგრამ არც ერთ კითხვაზე არ უპასუხეს, უფროსის სანქცია არა გვაქვსო. შემდეგ ვარჯიში დაიწყეს, ხელჩართული ბრძოლის ილეთებს ამუშავებდნენო. მათი შემხედვარე კონდრაშოვს „გაახსენდა“, როგორ მხეცურად სცემა უნივერმაღ „თბილისში“ ვიღაც ქართველმა ოფიცრის ქალიშვილი ელენა ბლიზინა (ფეხი დაარტყაო კისერში...) და კიდევ ერთი შემთხვევა „გაიხსენა“, როგორ სცემეს ბაზარში (რომელში?) ასევე მხეცურად სტუდენტი ვ. სამოდუროვი. ხელწერა იგივე იყო, ოღონდ, ორნი იყვნენ, გარბოდნენ და გასისხლიანებულ მსხვერპლს უყვიროდნენო — „Так будет со всеми русскими...“

ელგუჯა წიკლაურს კონდრაშოვი, რასაკვირველია, ვერ შეხვდა...

შემდეგ პოდპოლკოვნიკი აღწერს თავის საუბარს ვაკის პარკში ვინმე გოგისთან, რომელსაც თავი გადაპარსული ჰქონდაო, ეცვა გფრ-ს დროშებით მორთული თეთრი სპორტული შარვალი და რომელიც, თურმე, ასე წარუდგა — **«Штурмбанфюрер бригад СС Федеративной Республики Грузии»** (!).

გაგრძელება, ალბათ, საჭირო აღარცაა, მაგრამ ერთ ნაწყვეტს ამ ფანტასტიკური საუბრიდან მაინც მოვიტან.

კონდრაშოვი ეკითხება, ვინაა დღეს საქართველოში „ფიგურა“.

**«Фашик» из Тбилиси стал загибать пальцы: — Во-первых, конечно, Звиад Гамсахурдиа. Это — будущий президент независимой Грузии. Во-вторых, Ираклий Церетели — премьер-министр. В-третьих, Костава. Этот самый боевой. Уже сейчас командует штабом национальной обороны. Ох, и дали они жару в Абхазии!».**

რა შეიძლება ითქვას?! კონდრაშოვმა ისიც კი არ იცის, რომ სულმნათი მერაბ კოსტავა გარდაიცვალა...

დავუშვათ, რომ პოდპოლკოვნიკი საქართველოში 1989 წლის ოქტომბრამდე იყო ჩამოსული, მაგრამ მაშინ რატომ გამოაქვეყნა წერილი სამი თვის დაგვიანებით, იანვარში? თუ წერილი ოქტომბრამდეა დაწერილი, საიდან იცის ავტორმა, რომ „ქვემო (უნდა იყოს შიდა) ქართლში ნაციონალისტებმა ოსებთან კონფლიქტი გამოიწვიეს“ (იქნებ, „სცენარი“ ჰქონდა წინასწარ წაკითხული?)?

კონდრაშოვის რწმუნებით, „ფაშისტებს“ მშვიდობიანი მოსახლეობაც დაუშინებიათ. როდესაც „შტურმოვიკებზე“ ჩამოვაგდებდი ლაპარაკს, ჩემი ძველი ნაცნობები შეშინებულები იწყებდნენ აქეთ-იქით თვალების ცეცებას და მეუბნებოდნენ — „**Старик, у нас, конечно, не Сицилия но...**“ პაუზა მრავლისმეტყველი იყო. მაგრამ უკან დახევა არ მინდოდაო..

ესაა სწორედ წერილის მთავარი მიზანი, მკითხველს ჩააგონოს, რომ ქართული ეროვნული მოძრაობა ფაშისტურია და ფაშისტის დინდობა კი, ცხადია, არ შეიძლება (სხვათა შორის, კომუნისტური მორალი, როგორც „პოლიტზანატის“ ბროშურაში ამოვიკითხეთ ოდესღაც, ყოფილა „კოლექტივიზმი და მტრებისადმი დაუნდობლობა“.)

... კონდრაშოვი დაწვრილებით აღწერს „გამოძიების“ მსვლელობას, მან შეისწავლა ადგილობრივი პრესა (წერილიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ავტორმა ქართული ენა იცის, მაგრამ ამას თვითონ არსად არ აღნიშნავს). თურმე, მხოლოდ ამიერკავკასიის „ლენინსკოე ზნამიას“ ჟურნალისტები ბედავენ „ექსტრემისტების მხილებას“ (სამოქალაქო ჟურნალისტები, რასაკვირველია, ლაჩრები არიან). ამის „საფასურად“ „მამაც“ სამხედრო ჟურნალისტებს ტელეფონით ურეკავენ, ემუქრებიან, უგზავნიან წერილებს. „**Я держал в руках целые пачки злобных подметных писем**» (მიდი და შეამოწმე, არსებობს ასეთი წერილები თუ არა. ან თუ არსებობს, ვისი დაწერილია. ცხადია, მხოლოდ პროვოკატორი დაწერდა...). მაგრამ მარტო მუქარით არ კმაყოფილდებიან. გაზეთის პასუხისმგებელ მდივანს, პოდპოლკოვნიკ პ. ფლიაგინს თავში „გაზეთში გახვეული ფოლადის მილი“ ჩაარტყეს, პროპაგანდის განყოფილების კორესპონდენტი კაპიტანი ვ. დრობოტი ოთხმა „ბოევიკმა“ სასტიკად სცემა. კიდევ არის შემთხვევებიო (საინტერესოა, რატომ არ ასახელებს, თუ არის?... ჩვენ კარგად გვახსოვს შემთხვევა, როდესაც 9 აპრილის შემდეგ ვიღაც ოფიცრის ცემა ქართველებს დაგვაბრალეს და აღმოჩნდა, ოფიცერი საკუთარმა მძღოლმა სცემა).

ესეც ერთ-ერთი მეთოდია კონდრაშოვების არსენალიდან — დაბრალება.

...საინტერესოა, ვინ აწვდიდა ინფორმაციას პოდპოლკოვნიკ ა. კონდრაშოვს? თვითონ განაცხადა, სამართალდამცავი ორგანოებისთვის არ მიმიმართავს, ჩემით ვაწარმოებდი „გამოძიებასო“, მაგრამ როგორ დავიჯეროთ, როდესაც ასეთ რამეს წერს — მთელი თბილისი მოფენილია მოწოდებებით, რომლებიც ეროვნებათაშორისო შუღლს აღვივებენო და მაგალითისთვის მოაქვს ე. წ. „ფიცის“ ტექსტი (რომ ქართველი ახალგაზრდები ფიცს სდებენ არ იქორწინონ სხვა ერების წარმომადგენლებთან). ბატონმა ზვიად გამსახურდიამ ამხილა ეს პროვოკაცია — „ფიცი“ შედგენილია სოხუმში აფსუა სეპარატისტების მიერ და აფხაზეთში ვრცელდებოდა. კონდრაშოვი მას ვერ ნახავდა თბილისში კედელზე გაკრულს. ესე იგი, უნდა ვიფიქროთ, მან მიმართა იმ „კომპეტენტურ“ ორგანოებს, რომელთა ერთ-ერთი „ფუნქციაა“ ინფორმაციის შეგროვება. პოდპოლკოვნიკი აშკარად ფალსიფიცირებული მოწოდების მეშვეობით მკითხველს არწმუნებს, რომ ქართველები „რასისტები“ არიან. „**Это ведь махровый расизм**“ (რა შუაშია რასიზმი? კონდრაშოვს ქართველები და რუსები სხვადასხვა რასა ჰგონია?).

„გამოძიების“ კიდევ მრავალი ეპიზოდის გადმოცემა შეიძლება, მაგრამ იმისთვის, რომ მკითხველმა წარმოდგენა შეიქმნას პოდპოლკოვნიკ კონდრაშოვის წერილზე, ალბათ, ესეც საკმარისია.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, კონდრაშოვის წერილის მთავარი მიზანია ქართული ეროვნული მოძრაობა ფაშისტურად წარმოადგინოს და ამით ქართველებისადმი სიძულვილი გააღვივოს.

თავისი მიზნის მისაღწევად იგი იყენებს ცივილიზებული სამყაროსთვის ყოვლად მიუღებელ მეთოდებს — ცილისწამებას, დემაგოგიას, ფალსიფიკაციას, სიცრუეს...

მაგრამ რაში დასჭირდა პოდპოლკოვნიკ კონდრაშოვს ამ შემზარავი სიყალბის გამოგონება? რაში სჭირდება ქართველების ფაშისტებად, „შტურმოვიკებად“ გამოცხადება?

„**За державу обидно!**“ — აი, მიზეზთა მიზეზი.

საბჭოთა იმპერია (ანუ რუსეთის მოდერნიზებული იმპერია) ინგრევა და მისი გადარჩენა „პატრიოტ“ რუსებს მხოლოდ ძალის გამოყენებაში ესახებათ. არმიაა სწორედ ის ძალა, რომელმაც, კონდრაშოვების რწმენით, „დერჟავა“ უნდა იხსნას.

მაგრამ სანამ არმია შეტევაზე გადავიდოდეს, ჯარისკაცებმა (და მოსახლეობამაც) უნდა გაიარონ ფსიქოლოგიური დამუშავება. მათ უნდა სჯეროდეთ (და საუბედუროდ, სჯერათ), რომ უდანაშაულო ხალხს კი არ ხოცავენ, არამედ ფაშისტებს, „შტურმოვიკებს“.

„დერჟავაა“ კონდრაშოვების სალოცავი და ამიტომ მათთან ადამიანური საუბარი თუ ურთიერთობა შეუძლებელია (ზუსტად ისევე, როგორც შეუძლებელია მავზოლეუმში მდებარე მუმიასთან დიპლომატიური მოლაპარაკება). კონდრაშოვებისთვის ჩვენ საძულველი მტრები ვართ, რადგან თავისუფლებისთვის ვიბრძვით, უარვყოფთ მათ „დერჟავას“.

„დერჟავა“, როგორც პოლიტიკური და სოციოკულტურული ფენომენი, ანაქრონიზმია, მაგრამ რუსი შოვინისტისთვის ის ხელშეუხებელია, წმიდათაწმიდაა, როგორც არსი და მიზანი მისი ყოფიერება-ცნობიერებისა.

„დერჟავნიკებისთვის“ პიროვნული პასუხისმგებლობა არ არსებობს, არსებობს კოლექტიური, რაც რეალურად სრულ განუკითხაობაში გამოიხატება, რადგან „დერჟავა“ ყოველთვის, ყველგან და ყველაფერში „მართალია“ (ამიტომაც არ დაუსჯიათ არავინ 9 აპრილის ბოროტმოქმედებისთვის და არც დასჯიან). „დერჟავა“ რუსისთვის წინასწარი მოცემულობაა, ბრმა თაყვანისცემის ობიექტია და „პატრიოტ“ რუსებს, როგორც ჩანს, გულწრფელად სჯერათ, „დერჟავაში“ ცხოვრება არარუსი ხალხებისთვის ბედნიერებაა. ასეთი „პატრიოტისთვის“ გაცნობიერება იმისა, რომ ქართველს (ან ლიტველს, ან სხვა ეროვნების ადამიანს) მართლა არ სურს მასთან ერთად „ერთ ჭერქვეშ“ ცხოვრება, შეუძლებელია... ამ შემთხვევაში მან თეორიულად მაინც უნდა დაუშვას აზრი, რომ, შესაძლოა, „დერჟავა“ კეთილი კი არა, უკეთური რამ არის (და აქედან გამომდინარე, თვითონაც უკეთურია). ცხადია, ამ აზრს იგი ვერასგზით ვერ დაუშვებს, რადგან სწამს — თვითონაც და მისი ქვეყანაც საუკეთესოა და სანაქებო — **«Святая Русь»**. მესიანისტური პრეტენზია, კაცობრიობის გაბედნიერების პრეტენზია (**Москва третий Рим, четвертого не будет.**), რომელიც რუსული შოვინისტური აზროვნების საფუძველს წარმოადგენს, აიძულებს რუსს იყოს დამპყრობელი, იყოს იმპერიალისტი, იყოს „დერჟავნიკი“ და „ლოგიკურია“, რომ „პატრიოტი“ რუსისთვის ჩვენ საძულველი მტრები ვართ. ჩვენი სურვილი და მოთხოვნა დამოუკიდებლობისა მასში საკუთარი თავისადმი არაცნობიერ ეჭვს ბადებს, ძირი ეცლება მის ბრმა რწმენას საკუთარი სიკეთისა და განსაკუთრებულობისა, ხოლო ეს კი მისთვის აუტანელია...

რუსი „პატრიოტებისთვის“ „დერჟავა“ თვითმიზანია, ჩვენ კი, ქართველებს, თავისუფლება გვწადია, მაგრამ თავისუფლების მოთხოვნა კონდრაშოვებისთვის ყოველგვარ აზრს მოკლებული სიტყვებია. კონდრაშოვებმა არ იციან რა არის თავისუფლება და არც უნდათ იცოდნენ, ისინი ფლობენ „დერჟავას“, მაგრამ, ამავე დროს, „დერჟავა“ ფლობს მათ, „დერჟავის“ მონები არიან. მონური ფსიქოლოგიის მქონე რუსი „პატრიოტი“ ვერასდროს ვერ გაიგებს ჩვენს საწადელსა და მდგომარეობას. მისი ერთადერთი სურვილია ყველა ისე აცხოვროს, როგორც თვითონ ცხოვრობს, ანუ „დერჟავის“ მონად აქციოს. ხოლო ვინც კონდრაშოვების ამ განზრახვას ეწინააღმდეგება, ვინც „დერჟავიდან“ გამორბის — ის მტერია, ანუ „ფაშისტი“.

არარუსი ერებისადმი ისეთი აშკარა სიძულვილი, რაც კონდრაშოვების წერილებიდან ჩანს, შეუძლებლად ხდის საბჭოთა კავშირის, „დერჟავის“ არსებობას. ამ თვალსაზრისით, ა. კონდრაშოვი უფრო „სეპარატისტი“, ვიდრე ჩვენ, რადგანაც მისი მოქმედება, მისი პროპაგანდა ყველასთვის ნათელს ხდის იმას, რომ კონდრაშოვებთან ერთად ცხოვრება არ შეიძლება, შეუძლებელია, დამღუპველია...

კონდრაშოვი თვითონ ანგრევს იმპერიას. აი, სინამდვილეში რა შედეგი მოჰყვება მისი მიზნის განხორციელებას, საწინააღმდეგო შედეგი...

პოდპოლკოვნიკ ა. კონდრაშოვის წერილს ის მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, რომ კიდევ ერთხელ გავაცნობიერეთ რეალობა — „დერჟავას“, მის არმიას ჩვენზე უფრო საძულველი მტერი არა ჰყავს...

კონდრაშოვის ეს წერილი ფაქტიურად პირდაპირი მოწოდებაა საქართველოში საბჭოთა არმიამ „წესრიგი“ დაამყაროს.

**«В Грузии все честные люди ждут этого. Пора наводить порядок...».**

ჩვენ მზად უნდა ვიყოთ მომავალი განსაცდელისთვის.

დაუყოვნებლივ უნდა შეიქმნას ეროვნული საჯარისო შენაერთები, თავდასაცავი (და არა „მოიერიშე“) რაზმები, ქართული ჯარი... ჩვენ სხვა გზა არა გვაქვს, თუ გვინდა გადავრჩეთ და მოვიპოვოთ თავისუფლება...

**თამარ ებრალიძე,**

**ირაკლი ლომოური.**

# „საქართველოს“ მკითხველებს

გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, მრავალი მკითხველი გვირეკავს, ყველას ერთი სათხოვარი აქვს — როგორმე დავეხმაროთ ჩვენი გაზეთის გამოწერაში. ჩვენ აქამდე უძლურნი ვიყავით, რამე გვეღონა. ახლა კი სიამოვნებით გაცნობებთ, რომ იწყება ხელმოწერა გაზეთ „საქართველოზე“.

ხელმოწერის ფასია:

1 თვით — 1 მან. 73 კაპ.

3 თვით — 5 მან. 19 კაპ.

6 თვით — 10 მან. 38 კაპ.

12 თვით — 20 მან. 76 კაპ.

გაცნობებთ აგრეთვე, რომ მაისიდან გაზეთი „საქართველო“ ყოველკვირეული გახდება და ერთი ნომრის ფასი 40 კაპიკი იქნება. ვისაც გსურთ, მაისის თვიდან ხელმოწერით მიიღოთ ჩვენი გაზეთი, იჩქარეთ. ჯერ-ჯერობით ხელმოწერები შეუზღუდავად მიიღება „სოიუზპეჩატის“ ყველა განყოფილებაში. ჩვენი გაზეთის ინდექსია 66447.

### საქართველოს მეფეები

# ფარნაჯომი

ქართლის (იბერიის) მე-4 მეფე ფარნავაზიანთა დინასტიიდან იყო ფარნაჯომი, ძე მირიან I-სა (II საუკუნე ქრისტეს დაბადებამდე).

„ქართლის ცხოვრების“ მემატიანე მოგვითხრობს, რომ ფარნაჯომმა მეფობა ალმშენებლობითი საქმიანობით დაიწყო, „...უმატა ყოველთა ციხე-ქალაქთა შენება“, კახეთში დააარსა ქალაქი ნეკრესი, ააგო ციხე ზადენი და „შექმნა კერპი, სახელით ზადენ და ამართა ზადენს“. მაგრამ შემდგომ ფარნაჯომმა უარყო კერპები, მიიღო მაზდეანობა, „...შეიყუარა სჯული სპარსთა ცეცხლის-მსახურება“. (ამ აქტს პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, სელევკიდების სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ქართლის მეფეს ახალი ძლიერი მოკავშირე სჭირდებოდა). ფარნაჯომმა სპარსეთიდან მოგვები მოიყვანა, ქართლში მაზდეანობის გავრცელება დაიწყო.

ფარნაჯომის მოქმედებამ ქართველების გულისწყრომა გამოიწვია, „ამისთუის მოიძულვეს იგი მკჳდრთა ქართლისათა, რამეთუ დიდი სასოება აქუნდა კერპთა მიმართ“. უკმაყოფილება იმდენად ძლიერი იყო, რომ ერისთავებმა შეთქმულება მოაწყეს ფარნაჯომის წინააღმდეგ — „მეფე ჩუენი გარდახდა სჯულსა მამათა ჩუენთასა, არღარა მსახურებდეს ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა, და შემოილეს სჯული დედული, აწ აღარა ღირს არს იგი მეფედ ჩუენდა“. შეთქმულებმა სომხეთის მეფეს სამხედრო დახმარება სთხოვეს (სელევკიდების სახელმწიფოს დაშლის შედეგად სომხეთი გაძლიერდა, წარმოიქმნა ორი სომხური სამეფო) — „გუაშუელე ძალი შენი, ვავოტოთ ფარნაჯომ, შემომღებელი ახლისა სჯულისა, და იყოს მეფედ ჩუენდა ძე შენი არშაკ და დედოფლად ჩუენდა ცოლი მისი, შვილი მეფეთა ჩუენთა“. სომხეთის მეფემ მძევლების მიცემა მოითხოვა, რადგან არ იყო დარწმუნებული ერისთავების გულწრფელობაში. გარიგება შესდგა, შეთქმულმა ერისთავებმა გაუგზავნეს მძევლები და „განაცხადეს განდგომა ფარნაჯომისი“. ქართლის რამდენიმე ერისთავმა ფარნაჯომს დაუჭირა მხარი. ფარნაჯომმა სპარსელები იხმო საშველად, მათაც არ დააყოვნეს.

ბრძოლა გაიმართა ტაშირს, „ბრძოლა ძლიერი“. ფარნაჯომი დამარცხდა, „მოიკლა ფარნაჯომ და მოსრეს სპაჲ მისი“.

ფარნაჯომის მემკვიდრე, მცირეწლოვანი მირიან II სპარსეთში გახიზნეს, „...ძე ფარნაჯომისი მირიან ერთისა წლისა წარიყუანა ყრმა მამამძუძემან მისმან, და ივლტოდა სპარსეთს“.

**საქართველოს ექიმთა ასოციაციის გამგეობისა და საქართველოს ექიმთა ასოციაციის საზოგადოებრივი საექიმო კომისიის**

# განცხადება

**ქართველ ჯარისკაცთა და წვევამდელთა სამხედრო სამსახურის შესახებ.**

**გასული** წლის დეკემბერში წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის სამხედრო საქმეთა კომისიის წარმომადგენელმა მოგვმართა თხოვნით, რომ შეგვემოწმებინა ჯარის ნაწილებიდან გამოქცეული ქართველი ახალგაზრდებისა და წვევამდელების ჯანმრთელობის მდგომარეობა და საჭიროების შემთხვევაში აღმოგვეჩინა სათანადო სამედიცინო დახმარება.

გამგეობის გადაწყვეტილებით შეიქმნა საქართველოს ექიმთა ასოციაციის საზოგადოებრივი საექიმო კომისია სხვადასხვა პროფილის (ნევროპათოლოგი, თერაპევტი, ქირურგი, ოკულისტი, პულმონოლოგი, სტომატოლოგი, კარდიოლოგი) მაღალკვალიფიციური ექიმების შემადგენლობით.

კომისიის მიერ 1990 წლის 10 თებერვლამდე გამოკვლეული იქნა 47 ადამიანი, მათ შორის 4 წვევამდელი და 43 ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამხედრო სამსახურს თავს არიდებული პირი.

გამოკვლევების დროს ვეყრდნობოდით პაციენტების ამბულატორიული ბარათების და ანამნეზურ მონაცემებს, ობიექტურ გასინჯვას, ზოგიერთი პარაკლინიკური მეთოდის გამოყენების შედეგებს.

წარმოდგენილი ამბულატორიული ბათარების შესწავლისას გამოირკვა, რომ გამოკვლეულ პირთა საკმაო ნაწილი ჯერ კიდევ ჯარში გაწვევამდეც იყო ქრონიკული ავადმყოფი.

ჯარში გაწვევის შემდეგ მკვეთრად შეცვლილმა და შეუძვეველმა კლიმატურმა პირობებმა სამხედრო პირთა მხრიდან არაადამიანურმა მორალურმა თუ ფიზიკურმა ზემოქმედებამ თავისთავად არა თუ კიდევ უფრო გააუარესა და დაამძიმა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა, არამედ ინვალიდებად აქცია ჯარში გაწვევამდე სრულიად ჯანმრთელი ახალგაზრდებიც.

ჩვენს მიერ გამოკვლეულ პირთა უმეტესობა ჯარში ყოფნისას რამოდენიმეჯერ იყო ნაცემი, როგორც ჯავისკაცთა, ისე ოფიცრების მიერ, მოთავსებული იყვნენ ჰაუპტვახტში — ნესტსა და სიცივეში. მათ მიმართ გამოყენებული იყო წამების სხვადასხვა მეთოდები: სიცივეში ხანგრძლივად ყოფნა, ქლორიანი წყლის შესხმა საკნებში, შეკვრა ე. წ. „ლასტოჩკა“-ს მდგომარეობაში. ყოველივე ამან შეუძლებელი გახადა საჯარისო ფორმირებებში ამ ახალგაზრდათა სამსახური. ისინი დაძაბულნი როგორც მორალურად, ისე ფიზიკურად. ჯანმრთელობის გაუარესების გამო ზოგიერთი მათგანი ადგილზევე იყო მოთავსებული სამედიცინო დაწესებულებებში, მაგრამ იქ მომუშავე მედპერსონალის უდიერი მოპყრობა და არსებული სიტუაცია არ აძლევდა მათ გამოჯანმრთელების საშუალებას, ამიტომ ისინი იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის ადგილები.

საქართველოს ექიმთა ასოციაციის საზოგადოებრივმა საექიმო კომისიამ 47 პირის გამოკვლევის შედეგად გამოავლინა გულ-სისხლძარღვოვანი (24), ნერვული (15), საჭმლის მომნელებელი (11) და სხვა სისტემების სულ 80 სხვადასხვა ხარისხის დაზიანება.

დადგენილ დიაგნოზებში ფიგურირებდა ისეთი მძიმე პათოლოგია, როგორიცაა: გულის მანკი, ექსტრასისტოლური არითმია, ქრონიკული ბრონქიტი ბრონქოსპასტიკური სინდრომით, I-II ხარისხის სუნთქვის უკმარისობა; პიროვნების ფსიქოპატიზაცია განმეორებითი სუიციდური მცდელობით; ნეიროინფექციის ნარჩენი მოვლენები, ინტრაკრანიალური ჰიპერტენზიის სინდრომი ვეგეტოსისხლძარღვოვანი კრიზებით; ეპილეპსია, არასრული ატრიოვენტრიკულარული ბლოკადა, ქვედა ყბის მოტეხილობის შემდგომი მდგომარეობა დეფორმაციით და ფუნქციის მოშლით, ბრონქული ასთმა, ქრონიკული პიელონეფრიტი, ქრონიკული გლომერულონეფრიტი, ქრონიკული ვენური უკმარისობა ტროფიკის მოშლით.

ეს ავადმყოფები საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დახმარებით გაგზავნილ იქნენ ქ. თბილისის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში ამბულატორიულ და სტაციონალური გამოკვლევისა და მკურნალობისათვის.

კლინიკებში ჩატარებულმა გამოკვლევებმა ძირითადად დაადასტურეს ჩვენს მიერ დადგენილი დიაგნოზები.

საქართველოს ექიმთა ასოციაციის საზოგადოებრივ საექიმო კომისიას დაუშვებლად მიაჩნია ამ პიროვნებების გაგზავნა სავალდებულო სამხედრო სამსახურის გასაგრძელებლად, ვინაიდან ისინი საჭიროებენ ხანგრძლივ სტაციონალურ და ამბულატორიულ მკურნალობას.

ჩვენ მივმართეთ მე-16 სამხედრო სამედიცინო კომისიის უფროსს პოლკოვნიკ ვ. ვ. შაპოვალოვს მოთხოვნით, რომ ამ კატეგორიის პირთა მომავალი ბედის გამსაზღვრელ კომისიაში შეეყვანათ საქართველოს ექიმთა ასოციაციის წარმომადგენლებიც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ექიმთა ასოციაცია ითხოვს:

1. სათანადო კანონის მიღებამდე აუცილებელია საქართველოს შესაბამისი კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებული იქნას დროებითი დადგენილება, რათა ქართველმა ახალგაზრდობამ სავალდებულო სამხედრო სამსახური მოიხადოს საქართველოს ტერიტორიაზე.

2. შეიქმნას საქართველოს ტერიტორიაზე მომქმედი ახალი ჩამონათვალი იმ დაავადებებისა, რომლებიც ათავისუფლებენ მოქალაქეებს სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან; შეწყდეს შესაბამისი საკავშირო ჩამონათვალის მოქმედება ჩვენს რესპუბლიკაში.

3. საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ სასწრაფოდ იქნას მიღებული კანონი ეროვნული საჯარისო ფორმირებების შესახებ.

4. მიღებულ იქნას კანონი სამხედრო სავალდებულო სამსახურის ალტერნატიული ფორმით მოხდის შესახებ.

ამ მოთხოვნების შესრულებამდე საქართველოს ექიმთა ასოციაცია მოუწოდებს საქართველოს მოსახლეობას უარი განაცხადოს საბჭოთა კავშირის არმიაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდაზე.

**საქართველოს ექიმთა ასოციაციის გამგეობა, საქართველოს ექიმთა ასოციაციის საზოგადოებრივი საექიმო კომისია**

**ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პროკურატურას**
**ასლი: საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას;**
**გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას**

**საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის**

**განცხადება**

გაცნობებთ, რომ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების სიაში ირიცხება ჩვენი პარტიის 18 წევრი.

1990 წლის 12 მარტის სახალხო ფრონტის გაზეთ „საქართველოს“ მე-8 გვერდზე გამოქვეყნებულია მოქალაქე რუსლან მიქაბერიძის (მცხ. თბილისში, მოსაშვილის ქ. №19, II სად, ბ. 28) ეპიგრამები, რომლებიც სახელს და ღირსებას უტეხენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და, ბუნებრივია, მის წევრ — დეპუტატობის კანდიდატებს. ერთ-ერთ ეპიგრამაში კონკრეტულად არის მითითებული პარტიის თავმჯდომარის გვარი — მუჩაიძე.

ბატონი გურამ მუჩაიძე დასახელებულია დეპუტატობის კანდიდატად და კენჭს იყრის ოქტომბრის რაიონში №20 საარჩევნო ოლქში. მას უპირისპირდება და მასთან ერთად კენჭს იყრის სახალხო ფრონტის მიერ წამოყენებული დ. სალუქვაძე.

რ. მიქაბერიძის გამოქვეყნებული ეპიგრამები მიზნად ისახავს საარჩევნო კამპანიის ჟამს მოახდინონ სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მისი წევრების — დეპუტატობის კანდიდატების — კომპრომეტაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რ. მიქაბერიძემ დაარღვია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის მე-13 მუხლის მოთხოვნა — გამოაქვეყნა და გაავრცელა ყალბი ცნობები სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრების — დეპუტატობის კანდიდატების, კონკრეტულად გ. მუჩაიძის შესახებ.

გთხოვთ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აღძრათ სისხლის სამართლის საქმე რუსლან მიქაბერიძის მიმართ.

**საქართველოს სდპ თავმჯდომარის პირველი მოადგილე — გ. აბაშიძე**

**ქ. თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს**
**მოსარჩლე: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი**
**მოპასუხე: გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია**

**სასარჩელო განცხადება**

**პატივისა და ღირსების დაცვის შესახებ**

1990 წლის 12 მარტს სახალხო ფრონტის გაზეთ „საქართველოს“ მე-8 გვერდზე გამოქვეყნებულია მოქალაქე რუსლან მიქაბერიძის (მცხ. თბილისში, მოსაშვილის ქ. №9, IIსად. ბ. 28) ეპიგრამები სათაურით — „რემინისცენციები სოციალ-დემოკრატიაზე“, რომლებშიც შელახულია საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პატივი და ღირსება. ეპიგრამებში აშკარადაა ჩადებული აზრი იმის შესახებ, თითქოს სოციალ-დემოკრატიული პარტია ინსპირირებულია კომპარტიისა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიერ.

ერთ-ერთი ეპიგრამა ეხება პარტიის თავმჯდომარეს გ. მუჩაიძეს, რომელიც დასახელებულია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. მასთან ერთად №20 საარჩევნო ოლქში კენჭს იყრის სახალხო ფრონტის მიერ წამოყენებული დეპუტატობის კანდიდატი დ. სალუქვაძე. რ. მიქაბერიძემ დაარღვია საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის მე-13 მუხლის მოთხოვნა — გამოაქვეყნა და გაავრცელა ყალბი ცნობები დეპუტატობის კანდიდატის გ. მუჩაიძის შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, თანახმად საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-7 მუხლისა, გაზეთ „საქართველოს“ მეშვეობით გავრცელებული, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა დააკისროთ ამავე გაზეთის რედაქციას.

**გ. აბაშიძე,**
**საქართველოს სდპ თავმჯდომარის პირველი მოადგილე.**

# მართლა სოციალ-დემოკრატები

**რედაქტორისაგან: მართლა სოციალ-დემოკრატები ყოფილხართ, ძმებო! ეპიგრამის წესი და კანონიც არ გცოდნიათ. თუმცა, მარტო ეპიგრამა რას მიქვია, ყველანი უნდა გავისარჯოთ, რათა საქართველო კვლავ სოციალ-დემოკრატიის ჭაობში არ ჩაეფლოს. კიდევ ერთი: საბჭოთა სასამართლომ მილიონი განაჩენიც რომ გამოიტანოს, ბატონი რუსლანი, როგორც ვიცით, არავითარ მობოდიშებას არ აპირებს და რომც დააპიროს, ჩვენს გაზეთში არ დაიბეჭდება!!!**

**მომჩივან სოციალ-დემოკრატებს**

გურამ ბატონო, ჩივილმა,
თქვენმა, ძალიან მაცინა,
პირდაპირ რომ გაგიგიათ
ალეგორია „ბაცილა“.
მე პიროვნებებს არ ვერჩი,
თქვენი იდეის მტერი ვარ
და ხალხის გასაღვიძებლად
სატირულ ჰანგებს ვმღერივარ.
იდეის, ჯერ სოციალურ
სამოთხეს რომ გვიქადაგებს
და მერე ბადებს მკვლელებს და
ერის უარმყოფ ხვადაგებს.
იდეის, კაცის სულისკენ
ღმერთს რომ წინ გადაეღობა,
სხვას არ ჩამოვთვლი, თქვენს სახელს
ილიას სისხლიც ეყოფა.
არ ვფარავ, ზიზღის გრძნობას
მგვრის
თქვენი აღდგენის აქცია,
ადვილი მისახვედრია,
საიდან მოდის სანქცია.
წყეულიმც იყოს, ის, რამაც
რუსეთის მონად გვაქცია,
ბოლშევიკ-მენშევიკური
თქვენი ორივე ფრაქცია.

**რუსლან მიქაბერიძე**

სახალხო ფრონტი
ფასი 40 კაპ.
ინდექსი 66447

რედაქციის მისამართი: თბილისი, ყაზბეგის ქ. № 17. ტელ.: 292-681.

იბეჭდება საქართველოს კპ ცკ გამომცემლობაში

რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა